# ბახტრიონი

ფასი 5.000 მ.

ედაქ იის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი მორიგებით.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 21 კვირა 3 დეკემბერი № 21

## ამ ნომერში ექვსი გვერდია

## მეოცნებე ნიამორები

### № 8

**გრიგოლ რობაქიძე**——„მიწის სჯული" ხორალი
**პაოლო იაშვილი**——„ალვივიადი"
**ტიციან ტაბიძე**——„სეზონის ფლავანი"
**გიორგი ლეონიძე**——„მტკვარის კლეოპატრა"
**შალვა აფხაიძე**——მთვარის სოლო.
**რაჟდენ გვეტაძე**——„მანიფესტი ვირებს"
**ელენე დარიანი**——„წერილი ანნა ახმატოვას"
**სერგეი კლდიაშვილი**——„დაბრუნება"
**ვალერიან გაფრინდაშვილი**——„ივანე მაჩაბელი"
**ჟიულ ლაფორგი**——„სამგლოვიარო მარში"
**გრიგოლ რობაქიძე**——„სიტყვის როია"

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

იყიდება ყველა კიოსკებში ფასი 25 ათასი.

რედაქციის მისამართი: ხელოვნების სასახლე, სერგიევის ქ. № 13 ტელ. 17—51.

## ხელოვნების სასახლე

(სერგიევის ქ. № 13.

### კვირას 3 დეკემბერს.

ახალი მწერალთა კავშირის საბჭო. მორიგ 47 ესტეტიკის საღამო. მოხსენებას წაიკითხავს

### გრიგოლ რობაქიძე

თემა: **ზე კაცი და იდეა მარადი მობრუნების**

შესავალი ფასი **20** ათასი მანეთი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

შემდეგი მოხსენება: პავლე ინგოროყვა. „რუსთაველის გეოგრაფია."

## ახალი მწერლობის კავშირი

მორიგ მოხსენებათა ციკლი:

3 დეკემბერს:
**გრიგოლ რობაქიძე** — „ზე კაცი და იდეა მარადი მობრუნების."
10 დეკემბერს:
**პავლე ინგოროყვ** : „რუსთაველის გეოგრაფია
17 დეკემბერს:
**ტიციან ტაბიძე**: „ივანე მაჩაბელი."
24 დეკემბერს:
**გიორგი ლეონიძე** „საბა-სულხან ორბელიანი"
31 დეკემბერს.
**პაოლ იაშვილი**: „ვაჟა ფშაველას პროზა."
7 იანვარს.
**ვალერიან გაფრინდაშვილი**: „ საქართველო და დენდიზმი"
14 იანვარს.
**შალვა აფხაიძე**: „ქართველი პოეტი ქალები."
21 იანვარს:
**ტიციან ტაბიძე**, **ვახტანგ კოტეტიშვილი** — საღამო ქართულ კრიტიკის.
ა) იონა მეუნარგია
ბ) კიტა აბაშიძე
გ) არჩილ ჯორჯაძე
დ) ნოე ჟორდანია.
ე) ივანე გომართელი

## იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო კომიტეტის მოწოდება

არ ყოფილა საქართველოში სხვა იუბილე ისე საჭირო, როგორც ამ შემთხვევაში, რადგან ხელოვნების ყველა სფეროში კიდევ გვევულება სახელები, ქანდაკებაში კი ი. ნიკოლაძე ერთადერთია, რომელიც 25 წელი მუნჯად ებრძოდა ქვას, და მის სიღრმეში ეძებდა საქართველოს გენიის აღმოჩენას. ი. ნიკოლაძე მთელ საუკუნეთა ტვირთის მზიდველია, რადგან იგი გვაერთებს იმ შორეულ ქვის შემოქმედებასთან, რომლის ნაშთებითაც ქართული ტაძრები არიან მორთულნი. მან ერთმა შეინახა ქართულ ქანდაკების კერაში ცეცხლი, და ამით მან გმირული პერიოდი გამოიარა. იგი ქვით და მარმარილოთი ამტკიცებდა ქართულ ინდივიდუალობის ფესვებს, და დიდი მსხვერპლით ელოდა ქართულ კულტურის ამაღლებას. ალყა შემორტყმულ საქართველოში, ყველაფერი გმირულ ამტანობას მოითხოვდა, და თუ ხელოვნების სხვა სფეროში ეს სიძნელე თაობებმა გადაიტანეს, ქანდაკებაში ამ ერთად ერთი კაცის ქედს აწვებოდა მძიმე შემოქმედების აუტანელი ტვირთი. და ი. ნიკოლაძემ ეს ეროვნული მისია სახელოვნად მოიტანა დღევანდლამდე. ი. ნიკოლაძემ გაამთელა საქართველოს ხელოვნება. და ეს მაშინ, როცა შემოქმედებისათვის თავ-შესაფარიც არ ჰქონდა. ჩვენ გვგონია, რომ უკვე დრო არის დაფასდეს ამ იშვიათი შემოქმედის ღვაწლი. ხელოვანთა კომიტეტი იუბილეს უმართავს ი. ნიკოლაძეს. ამ იუბილეს ის აზრი აქვს, რომ კონკრეტ პიროვნების სახით ხმა მაღლა მიმართოს გვარეულ კულტურას. ი. ნიკოლაძის სახით, საქართველომ უნდა მოიგონოს ქართული ქანდაკება. ქართველმა ხალხმა უნდა მთელი ენერგია გამოიჩინოს, რომ ი. ნიკოლაძეს შემოქმედების აუცილებელი პირობები შეექმნას. ი. ნიკოლაძეს უნდა მიეცეს ქვისა და მარმარილოსათვის თავშესაფარი. ეს იქნება საქართველოს ქანდაკების პირველი კოხი, რომელიც ქართველმა ხალხმა მალე სასახლედ უნდა გადააქციოს. ვისაც უყვარს საქართველოს კულტურა, ვინც სდგას ამ ფრონტზე და ცდილობს დაიცვას ქართულ კულტურის შტანდარტი, მათდამი არის ეს მოწოდება მიმართული.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სიტყვა გახმიანდება მთელ საქართველოში, რაც ახალ ძალას შეჰმატებს ჩვენს მოქანდაკეს, რომ უფრო მეტი ენერგიით განაგრძოს ძნელი გზა, ქართულ ხელოვნების დიდებისაკენ.

ამით მოგმართავთ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა ამ დღისათვის. რა სახით მიიღებთ მონაწილეობას გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ხელოვნების სასახლე სერგიევის ქ. № 13.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე **კოტე მაყაშვილი.**

კომიტეტის წევრები:

| | |
|---|---|
| აბაშელი ს. | ამირეჯიბი ქეთინო |
| გრიშაშვილი იოსებ | იაშვილი პაოლო |
| კოტეტიშვილი ვახტანგ | ლიხელი დავით |
| საყვარელიძე პავლე | რობაქიძე გრიგოლ |
| რუხაძე ვარლამ | ტაბიძე ტიციან |
| ჩხეიძე ნინო | თოიძე მოსე |
| ფალავა აკაკი | ყანჩელი სანდრო |

## წყალწალეგული ჭიათურა.

ქართული პრესსა, და საზოგადოთ ყველა სდუმს იმ კატასტროფის შესახებ, რომელმაც ჭიათურა განადგურებამდის მიიყვანა. შავი ქვა, უმთავრესი საფუძველი იყო ყოველთვის, საქართველოს ეკონომიური განვითარებისათვის.

თუ ევროპას რამე აკავშირებდა საქართველოსთან რეალურად, ამის მიზეზი ჯერ-ჯერობით ჭიათურა იყო და არის.

და, დღეს თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს იმდენათ უმნიშვნელოა წყალდიდობისაგან მოყენებული ზარალი, რომ ჩვენ ვსდუმვართ, მაგრამ არავინ კითხულობს: რისი იმედი გვაქვს. შეიძლება „ბახტრიონის" ტრადიცია არ იყოს მეთაურები სწეროს, ეკონომიური სტატისტიკის მიხედვით, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის ახლოს არი თუნდა უბრალო ტკივილიც ჩვენი ქვეყნის, და ჩვენ არ შეგვიძლია პროტესტი არ განვაცხადოთ, რომ ჭიათურის კატასტროფა, ჩვენს პრესსაში მხოლოდ ქრონიკაში მოთავსებული ცნობებით ამოიწურა.

ამ ზაფხულში ჭიათურა ძნელი საცნობი იყო.

ძველებურად, ფუტკარივით მოედვნენ შავი ქვის პლატფორმებს, შავ მტვერში გამურული მუშები, ჭიათურა გაცოცხლდა 8 წლის მიძინებული, ყოველ დღე რამდენიმე მარშრუტი მატარებლებისა მიდიოდა ქვით დატვირთული, დაიწყო სიცოცხლე, რომელიც მალე უნდა გადასულიყო დიდ გრანდიოზულ მაშტაბით მუშაობაში, და უეცრად წყალდიდობამ (მეორედ) ყველაფერი გაანადგურა, შავი ქვა წალეკა, ხიდები და გზები დაანგრია, დამბები დახსნა, სარეცხავი ქარხნები დიდათ დააზიანა. საჩხერეში. შორაპანის ლიანდაგს რამდენიმე თვე სჭირდება ზერელედ შეკეთებისათვის, რაიმე ფუნდამენტალურ მუშაობაზე, ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლება. ეს გზა ისედაც დაზიანებული იყო და ახლა სულ უიმედო შეიქნა. საგრძნობლად დაზიანდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შესანიშნავი წყალ საქანი, წალეგულია ჭიქოურას და საფარის საურმე ხიდები. გარეცხილი და პლატფორმებზე დამზადებული ქვა უამრავი წაიღო წყალმა. მარტო ერთ ფირმას მოსტაცა სტიქიამ 4.500.000 ფუთი. სულ წალეგულია — 17.000.000 ფუთი გაწმენდილი ქვა და პროქსიტი.

მარტო ეს უდრის მილიონებს ოქროს ანგარიშზე. რამდენიმე თვე შეუძლებელი იქნება თუნდა ელემენტარული მუშაობის დაწყება.

„ჩემო" იძულებული ხდება მოახდინოს 400 კაცის ლიკვიდაცია სამსახურიდან, მარტო ამისათვის 16 მილიარდი არის საჭირო. ამ ზარალს საქართველო იგრძნობს, რადგან სახელმწიფოს მოაკლდება უდიდესი წყარო შემოსავლისა. ქართული ხაზინა სავალიუტო ბიუჯეტს უმთავრესათ შავი ქვის ოპერაციებიდან ავსებდა.

ძნელია საშუალების მონახვა ზარალის ასადგენათ. ყოველ შემთხვევაში შავი ქვის ორგანიზაციების („ჩემო" „საქართველო საზოგადოება" შავი ქვის მრეწველთა საბჭო) დაუყონებლივ უნდა მიეცეს გძელ ვადიანი სესხი ხაზინის ოქროს ფონდიდან, საჭიროა, ჩვენის აზრით, მიეცეს აგრეთვე ფართო საშუალება და დახმარება კერძო ინიციატივას, და დროებითი შემსუბუქება სამუშაო პირობების, რომ საქართველომ რაც შეიძლება მალე შესძლოს ჭიათურის აღდგენა. შეჩერება ერთი წუთითაც და გულ გრილობა გაართულებს საქმეს და შემდეგში საჭირო იქნება გაათებულ მუშაობა საქმის შველისათვის მაგრამ პირველად ყოვლისა თვით შავი ქვის ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ გრანდიოზული ნება და ენერგია. ამისათვის მათ აქვთ საკმაო ისტორია და გამოცდილება.

**პაოლო იაშვილი.**

## „ცხვრის წყარო"
### ქართულ სცენაზე.

ლოპედევეგას, თარგმ. **კ. მაყაშვილისა.**

დადგმა **კ. მარჯანიშვილის.**

ალბად არც ერთ დადგმაზე არ დაიწერება ამ სეზონში იმდენი, რამდენიც დაიწერება „ცხვრის წყაროზე". კოტე მარჯანიშვილმა უსათუოდ შეჰქმნა თავისი ეპოქა ქართულ თეატრის ისტორიაში. ჩვენმა რედაქციამ მარჯანაშვილის ჩამოსვლისათანავე აიღო პოზიცია ამ რეჟისორისადმი, რომ მისი ყურადღება მიექცია ქართულ თეატრისადმი.

რასაკვირველია არ კმარა მარტო პატრიოტული ფრაზეოლოგია, მით უმეტეს თუ ზოგისთვის ეს კარიერის საკითხია და გახუნებულა რეპუტაციის აღგენა. მხოლოდ საქმე და ნამდვილი შრომა გამოაჩენს მამულიშვილს. 26 წლის ემიგრანტობის შემდეგ კ. მარჯანიშვილი დაუბრუნდა საქართველოს, რომ ერთად მიეზლო მისთვის თავისი ცოდნის, გამოცდილების, და ტალანტის შენაძენი. და უნდა ითქვას, რომ ეს იყო სასწაული. ამ ჟამეს „ცხვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო“ს დადგმაზე მოხდა დიდი ეროვნული გადატეხა. ქართულმა თეატრმა, რომლის სიკვდილზე თვითონ რეჟისორები და არტისტებიც ლაპარაკობდენ ასე დაჟინებით. მთელი წლეებით ამ ღამეს გამოაჩინა, რომ ეს აზრი იყო ფალსიფიკაციის, რომ საჭიროა გაფრენილი ხელი რეჟისორის და გენიის დაფეთება და ეროვნული შემოქმედება ამ ხელს თავის თავს? და ჩვენ არ ვგონია კიდევ იყოს სხვა ერი, რომელსაც ჰქონდეს იმდენი ბედნიერება, როგორც საქართველოს, რადგან ამბობენ, რომ გენია მოვალეება კი არ არის, არამედ ბედნიერებაა ერის. კ. მარჯანიშვილს გენიაზე ამდენის ლაპარაკობს რუსეთის პრესსა, რომელმაც იცის წარსულში შჩეპკინი და დღეს ევრეინოვი ან სტანისლავსკი

ჩვენ არადროს არ გვინახავს ასე გახარებული ქართული საზოგადოება, როგორც ამ ღამეს. უნდა ითქვას მართალი, რომ ქართველი ხელოვანის გენია, არა მარტო მის თინა პროფესიის ხალხს ეხარბება, საზოგადოება ქართველი ყოველთვის ხარბობს უთუოდ ქართველ ხელოვანის დამარცხებას.

ამ ღამეს, ამ შემთხვევაშიც მოხდა სასწაული, ასე გულწრფელად არ სდრს არ გაუხარია მას ამ უკანასკნელ წლეებში. კოტე მარჯანაშვილი, რომელსაც თავისი თავად უყვარს ნათელი დადგმა, ამ ღამეს მოგებული დარჩა, რომ საქართვულოში გადმოიტანა ესპანია საქართვე ნათესაობას ესპანიასთან ჯერ კიდევ საქართველოს მონასტერის ბერები გრძნობდენ დი აკი არსებობს ლეგენდა მამა იოანნეს შესახებ, რომელიც გაემგზავრა კიდეც იბერიაში ამ მიზნით და მიზეზით.

სამხრეთის მცხუნვარე მზე, ტემპერამენტი და „უთალავი ფერი“. ბუნების უფრო ამაგრებს ამ ანალოგიას.

ამ ღამეს ეს იყო სწორედ მოცემული (თუმცა ამ შემთხვევაში ბევრი აკლდა დეკორაციას, მხ. ვალერიან ერისთავს არ აქვს საზოგადოთ ეს ფერედები.

მთელი ექზოტიურობა და ტემპერამენტი ამ წარმოდგენის თავზე გადიტანა თამარ ჭავჭავაძემ (ლაურენცია). არ უნდა თქმა რომ კ. მარჯანაშვილმა ქართულ თეატრის აღმოჩინა თამარ ჭავჭავაძემ დიდი ხნის აფრთოვანება ამ მსახიობ ქალს აქვს ყველაფერი რაც საჭიროა კარგი არტისტისთვის და ჩვენ გვგონია ის დარჩება ქართულ სცენის დამშვენებად. „ცხვრის წყაროს“ ამ ღამეს გამარჯვებინა თამარ ჭავჭავაძემ.

მშვენიერი იყო აკაკი ვასაძე, მან დაამტკიცა რომ მას დიდი მასალა რეჟისორისთვის. მშვენიერი იყო ალექსანდრე იმედაშვილი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხმა. ალბად მა რამდენიმე წელიწადი არ უთამაშია ასე შევნებულად კარგად.

ის ყოველთვის გრძნობდა ალბად ამ ძალას, როცა თავგამოდებით იცავდა ქართველ არტისტებს, რეჟისორების ბრალდებისგან. კარგი იყვნენ აბაშიძე, ნიკო გვარაძე, და ჩხეიძე, ცოტა დისონანსი შეჰქონდა დავითაშვილის თავის ცივ რიტორიკით, მაგრამ ალბად კ. მარანიშვილი ამ ხმასაც დაალბოს. თუმცა როლი არ ჰქონდა მაგრამ მაინც აღსანიშნავია ელენე დონაური—ვაჩნაძე, მას აქვს ის, რაც აკლია ყველა ქართველ მსახიობ ქალს თითქმის, ეს არის—ტანი და ქალობა, ურომლისოდაც ქალის ხელოვნება არ არსებობს.

მასსიური სცენები ყველგან კარგად იყო შესრულებული, ამ შემთხვევაში განირჩეოდნენ ახალგაზდა სტუდიელები—ივლიტა ჯორჯაძე და დავითაშვილის ქალი.

ჩვენ ველით კიდევ ახალ დადგმას კ. მარჯანიშვილისას, ახალ გამარჯვებას და საქართველოსთან და ქართულ თეატრთან სამუდამო დაკავშირებას.

**ვარამ გაგელი.**

# რიტმი პროზაში

სიტყვის ხელოვნებაში, და ყოველ ხელოვნებაში, პირველი სამკაულია რიტმი. ისაა რომ ანათესავებს ხელოვნებას პოეზიასთან და რევს მათ სახელებს.

რიტმის გაგება უნდა გაფართოვდეს. ყოველი მიმდევრობა ერთნაირის, ინტენსივობის გამეორება—ქმნის დაუსრულებელის ილჲუზიას, რიტმს: არაბესკები, ბერძნული კოლონადა, საერთოდ სიმეტრია, ტილოზე რომელიმე ფერი დომინანტ... რიტმის ასე გაგება უნდა მივიტანოთ ლიტერატურასთან.

თითოეულ ელემენტარულ ხმას ცალკე აქვს თავისი ინტესივობა, ტონალობა სუბლიმინალური ასოციაცია ფერის და ხაზის. გათლილ სიტყვაში ეს ხმები ეწყობიან კრისტალივით და მათი წმინდა ფერები ერთდებიან ახალ გარმონიაში. სიტყვაში ჩნდება ტაქტები: უბრალო მიმდევრობა გძელი და მოკლე ხმოვანების (ძველ ენებში), მაღალი და დაბალი ხმოვანების, ყველა ხმების ინტენსივობის, ფეროვნობის, ხაზოვნობის... ამის გარდა გადაბმულ თქმაში ქმნის ახალ ტაქტს წინადადების დალაგება და ლოგიური ინტენსივობა.

ტაქტების წესიერბა მიმდევრობა, ერთნაირების წყობა—არის რიტმიული თქმა, ლექსი.

რიტმი ქმნის მარადიულის სიახლოვის ილჲუზიას, მოზომილ ინერციას, სულს განაწყობს მაღალისათვის, დაუსრულებლისათვის, საზღვრების გადალახვისათვის, ამიტომ თავიდანვე ლოცვისთვის, ფილოსოფიისთვის, თამაშობისთვის სიტყვა ლექსათ დაეწყო. აქედან მათი არევა: ლექსი და პოეზია გახადეს ორეულებათ. თითონ ლექსის გაგება კი დაავიწროვეს აი როგორ:

ყველაზე მარტივი და ადვილი შესამჩნევი არი მარცვლების (ხმოვანების) სიგძეზე და სიმაღლეზე აშენებული ტაქტი და რიტმი. კიდევ უფრო მარტივია სილაბიური რიტმი. მარცვლების არითმეტიკის, მეტრიული ლექსთწყობა შესცვალა სილაბიურმა და ტონიურმა. ამ ტრიუმვირატმა ოცდახუთი (ან მეტი) საუკუნე ატარა ლექსის სახელი და დაისაკუთრა.

რაც არაა აგებული მეტრიულ, ტონიურ ან სილაბიურ ზომით, ის არაა რიტმიული, ის არა ლექსი, ის პროზაა. კიდე მეტი: ის არაა პოეზია. პროზა გახადეს დიდ ყუთად და იქ ერთად ჰყრიდენ ყველაფერს: გაზეთის ფელეტონები, გიმნაზიის სახელმძღვანელოებს, ვერბსცკაიას რომანებს, პუშკინის და ბოდლერის პროზას. პროზის საძმო სასაფლაოსთვის ერთნაირად გაიმეტეს ყველაფერი, რაც არ იყო დალაგებული ხმოვანების რიტმზე.

პროზისა და ლექსის ასეთი კატეგორიული დაპირისპირება არაა სამართლიანი. სიტყვა პროზა მეტათ ფართო მნიშვნელობით იხმარება და ხშირად ამ ნიშნით იფარება ახლო ნათესაობა ძველი ლექსის. ხელოვნურ პროზაში არი რიტმები ზოგჯერ უფრო დაწვრილებული, ვიდრე მეტრიული და და ტონიური რიტმებია ნჲუანსი, რიტმი ოდნავი. ხმოვანებზე აშენებული რიტმები მკაფიოა და კუთხედი. ის ბრწყინავს ბრილიანტის ყველა ბრწყინვალებით. ამიტომა აქვს მას გძელი ისტორია. სხვაა რიტმები პროზაში მთვლემავი.

წინადადებაში სიტყვების თავისებური დალაგების გამეორება ქმნის რიტმს გძელს, მაგრამ სათუთს. ეს რიტმი პროზაში უფრო ძველია და დამუშავებული თუმცა ინსტინქტიურათ. მაგალითები იცის ქართულმა ლიტერატურამაც.

თანხმოვანების ინტენსივობის და ფეროვნობის რიტმი ჩუმია, მარგალიტივით მკრთალია და მშვიდი, ეს რიტმი არაა ყველასათვის. მეტად მახვილი სმენა უნდა, რომ აითვისოს წყნარი, მგლოვიარე დენა თანხმოვანების: ერთი ინტენსივობის და მგვანი ტონალობის ბგერები ხვდებიან ერთმანეთს მეზობლების აღმართ-დაღმართებში და სულის ქანაობას აბრუნეეს ერთ სწორ ხაზზე მუსიკის ლეიტმოტივივით. აქედანაა ალიტერაცია. ეს გზა, ბოლომდი მიყვანილი, მიდის სწორ რითმასთან, რომელიც ხდება ტონიურ რიტმზე უფრო ხმიერი. ხმოვანების რიტმის ხასიათი თუ კუთხეებია, თანხმოვანების რიტმი ოდრიკალებია და სწორ რითმაში ის წრეთ მრგვალდება. მაგრამ სწორი რითმის მკაფიობა თანხმოვანების რიტმს არ უხდება და უკვე ძველი ლექსის ოსტატებშიაც გაჩნდა სიყვარული ასონანსის და დისონანსის. სწორი რითმის სისრულე ალიტერაციამ მიიღო ტონიურ და სილაბიურ ლექსში სტუმრობის დროს: იქ ის შეეგუა ხმოვანების რიტმის ხასიათს. და პროზაში, მარტო თანხმოვანების რიტმში, რომელიც მოკლე და მკრთალ ტაქტებისაგან შესდგება, რიტმის სილიდე და ხმაურობა არ შვენის და, პირიქით, ისმის შეუგუებელ დისონანსათ. თანხმოვანების რიტმში გაქანების მიქსიმუმი უნდა იყოს ალიტერაცია.

პროზას ლექსზე უფრო უყვარს კიდევ ერთი კანონი—გამონაკლისები კანონებიდან. უცნაური შვენებაა რიტმის ერთნაირ დენისას მის მოულოდელ დარღვევაში. სიმეტრიის დააკოჰლების შვენება იცის არხიტექტურამაც მაღალ საფეხურებზე.

ხმოვანების რიტმის კულტურა ბოლომდი მივიდა სონეტში, მივიდა ტუპიკში დი სიტყვის ხელოვნება თუ არ უნდა გაიყინოს ამ მაღალ წერტილზე, უნდა მოიძებნოს გამოსავალი. ფრანგი სიმბოლისტები გაახარა თავისუფალმა ლექსმა, მაგრამ ეს არ იყო ახალი გზის ნახვა. ეს იყო ტონიურ ლექსთმწყობაში სილაბიური კანონის უარყოფა, პალიატივი: თავისუფალი ლექსი (აქამდე) შენდება ტონიურ რიტმზე, მხოლოდ იქ ტაქტების რაოდენობა იცვლება და ერთი ტაქტი არ ჩადის ლექსის ბოლომდი თავისუფალი ლექსი ვარიაცია იყო ძველ თემაზე და ის მალე დაბერდა და დაიშალა ფუტურისტების ხელში.

სიტყვებს გამოუხუნდა ხმოვანები ათასი წლობით მზეზე გამოფენილი. ლექსი უნდა აშენდეს სხვა რიტმებზე. ეს გზა არაა მოკენჭული და მოსწორებული ასფალტით. მაგრამ აქ არის ბილიკები-პროზის ველურების ნაკვალევი. მათზე ზოგჯერ გაუვლია სიტყვის დიდ ოსტატებსაც. როდესაც ლიტერატურაში ჭეშმარიტი პოეზია ნჲუასების და დაწვრილებული ირონიის. იმას დაამძიმებს ხმიერი რიტმის დერიდახოლები და ბრწყინვალება-და ლიტერატურაში უნდა მოვიდეს მკრთალი შვენიერებაც პროზაში დაფარული რიტმების.

**სანდრო ცირეკიძე**

# დოკუმენტები და მოგონებები.

**გრიგოლ ორბელიანის წერილები ილია ჭავჭავაძესთან.**

I.

„ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ!

დღეს ვერ გიხდები ჩვენის საზოგადოების კრებაში, თეატრისა გამო, რადგანაცა ვარ მიწვეული в экстренное заседание Общества возстановления Христянства; მაგრამ გავჰბედავ კი და გულწრფელობით მოგახსენებ, რომ მე არა ვარ თანამგრძნობი ქართულის თეატრის **ამ ჟამად** დაწესებისა, რომელზედაც დახარჯული ფული მგონია დაკარგულად

მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს გასწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა თვისისა? და თუ ქართულის ენის მოყვარენი წარმოადგენენ რასმეს წელიწადში ორჯელ, სამჯერ, ხომ ეხლაც არის ამგვარი თეატრი.—არა მგონია, რომ ჩვენი ბანკი იყოს ისე გასუქებული, რომ სამასის თუმნის უსარგებლოდ დახარჯვა არაფრად მიაჩნდეს მას.

ჩვენი ბანკი—ისე მახსოვს—დაარსდა იმ ჰაზრით, რომ ჩვენს შვილებსა მიეღოთ, ბანკის შეწევნით, სწავლით აღზრდა ღიმნაზიებში და თვით უმაღლესთ სასწავლებლებში. ეს ჰაზრი დარჩა ჰაზრად, და ეხლა მოულოდნელად ამას ზედ დაერთო სახალხო შკოლებიცა და თეატრიცა.

ვინ იტყვის, რომ შვილების აღზრდა, სახალხო შკოლები, თეატრი, არ იყოს საჭირო ჩვენთვის. ვინ არ იცის, რომ სამივე ესე საგანი არის ხალხისა სულითა ამაღლება, გონების გახსნა და თვით ეკონომიური შემატება. მაგრამ, არა მგონია, რომ ჩვენს ბანკსა ჰქონდეს ისეთი შეძლება, რომ ეს სამივე მეტად დიდი და ძნელი საქმე, ერთსავე დროსა, დაამკვიდროს საფუძვლიანად, შეურყეველად.

ჩემის ჰაზრით, ჯერ პირველად აღსრულდეს საზოგადოების სურვილი, ესე იგი, მიეცეს შვილებს ფართო გზა, დაუბრკოლებლად, სწავლით აღზრდისა, რომლისა აღსასრულებლად მოგვინდება რაოდენიმე ათასი თუმანი ყოველს წელიწადს.—და თუ ბანკსა დარჩება რამე, მაშინ შეძლებისამებრ, აშენდეს ხალხის შკოლებიცა და თვით თეატრიცა; მაგრამ კი საფუძვლიანად.—როგორ არა ვსთქვა რომ ათასის თუმნით ძლივს აშენდება და დაფუძნდება, რომელსამე უეზდში, მხოლოდ ერთი პაწაწა შკოლა, და ამით გათავდება დიდი იგი საქმე, რომელსა ჰქვიან „სახალხო შკოლები“ და სხვანი უეზდები კი დარჩებიან ისე, როგორცა არიან ამ ჟამად.—მე ასე მგონია, და ვამბობ იმას, რაცა მგონია, და თუ ვარ შემცდარი, ჭეშმარიტად, მე დიდად მიამება.

ქართველები ვართ ბუნებით გულმსწრაფლნი; გვინდა ხვალვე იყოს მზად ყოველი, რაცა გვსურს. ჰსჯობს ნელნელა წავიდეთ წინა, ვიდრე სიჩქარით დავრჩეთ შუა გზაზე დაღალულნი.

თქვენის ბრწყინვალებისა მორჩილი მოსამსახურე თ-დი
**გრიგოლ ორბელიანი.**

18 მაისს 1879.

II

ჩემო მოწყალეო ბატონო;
კნიაზო ილია!

მომირთმევია საბინინის წერილი, რომლითაცა ითხოვს ჩვენის საზოგადოებისაგან შემწეობასა ფულით, შესასრულებლად საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა და გამოსახსნელად ლეიპციხიდამ ქართველ წმიდების (sik) სურათებისა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი შრომა და ღვაწლია მისგან მიღებული, და რა სასარგებლოა საკუთრივ ჩვენთვის ამ ისტორიის გამოცემა და გავრცელება ჩვენს ხალხში.

ახლა თუ დავიცდით ჩვენს საზოგადოების შეკრებამდის, მეტად ბევრი დრო გავა და საბინინიც დარჩება ულონოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს საზოგადოებას არ ეწყინება, მის დაუკითხავად, ბანკიდამ შემწეობა ამ გაჭირვებულს შემთხვევაში ესრეთის საზოგადოდ კეთილის საქმისთვის გასანათლებლად ჩვენის დაცემულის მხარისა· ჩვენს უსტავაშიც იხსენება о распространении грамотности, или просвещения в народ.

მე ბანკიდამ შემწეობას იმიტომ ვახსენებ, რომ ხელის მოწერით ვაითუ დაგვიანდეს, ან ვერ შესდგეს საკმაო ფული მახლა, როგორცა ინებებთ, ისე აღსრულდეს, ოღონდ კი აღსრულდეს.

თქვენი მარადის ერთგული და ბედნიერების მსურველი.

**თ. გრიგოლ ორბელიანი**

2-ს ნოემბ.
1879 წ.

ილია დიდს მუშაობას ეწეოდა ქართული თეატრისთვის. გიორგი ერისთავის მერე თეატრი ილიამ გააცოცხლა, როგორც ნივთიერი დახმარებით. დიდი ორგანიზაციული მუშაობით, ისე „მეფე ლირის“ თარგმანით სადრამო კრიტიკის წერილებით და ათეულ წლებში მუდმივი რეცენზიების წერით, რითაც საზოგადოების ინტერესს აძლიერებდა ქართულ თეატრისადმი. ვანო მაჩაბელსაც უსათუოდ ილიამ გულვიძა ხალისი შექსპირის შესწავლისა და თარგმნის 1880 წელს, მისი მეოხებით ქართული დრამატიული საზოგადოებაც დაარსდა. ეს წერილი ეკუთნის დრამატიულ საზ.-ბის დაარსების წინა წელს, როცა არსებობდა ამხანაგობა ანუ სათეატრო კომიტეტი, რომლის წესდება შედგენილი იყო ბ. ნიკო ნიკოლაძის მიერ.

ამ წერილში მთელი ფიგურით სჩანს კონსერვატორი გრიგოლ ორბელიანი და აგრეთვე მისი ქედის მოხრა იმ ბურთივით მრგვალი ლიბერალი“ს წინაშე, რომელსაც ასე ექვეთა გრიგოლი „მამებისა და შვილთა“ კომპანიის დროს.

1882 წ. მიხეილ საბინინმა გამოსცა დიდი ტომი: „საქართველოს სამოთხე სრული აღწერაჲ ღვაწლთა და ვნებათა საქართველოს წმინდათა შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ“ წიგნში მოთავსებულია 27 დიდი სურათი, რომელთა კლიშები საბინინმა ლაიპციგში დაუკვეთა. ჩვენ არ ვიცით, ეს კლიშები გამოისყიდა თუ არა ბანკმა, მხოლოდ რომ დიდი გაჭირება გამოუვლია საბინინს ამ დიდი წიგნის (639 გვ.) გამოცემაში, მოწმობს მისვე სიტყვები: „უწყის ღმერთმან და ჩემმან, უკანასკნელმან ჟამმან, რამეთუ დიდი ჭირი და იწროება ვნახე მე ამ წიგნის შედგენასა შინა და უმეტეს დაბეჭდვასა შინა, ვერ აღვრიცხამ ყოველთა. ვითარ კაცი შევძრწუნდი და ლამის სასოწარკვეთილებას არ მივეც თივი ჩემი—არავინ მყვანდა ქართველთაგან შემწედ და გულ დამწველ. არამედ მრავალნი მტრად და მომძულეს ცუდათ.“ (იხ. წინასიტყ.)

ვგონებთ, რომ საბინინს, მხოლოდ გრიგოლ ორბელიანი გამოეხმაურა.

**რედ.**

# ადგილის დედა.

ხევსურეთში ბევრი რამ ძველი რწმენა და ადათია შენახული. საგულისხმოა ერთი დღეობა, რომელიც იმართება ყოველწლივ განსაკუთრებულის ცერემონიით. ამ დღეობას ხევსურები უწოდებენ **ადგილის დედას**. ადგილის დედა მფარველია მშობლიური ადგილისა, მიწა წყალისა, მოსახლეობისა. ამ დღეობაში ხევის ბერი დიდის ცერემონიით და ლოცვების წარმოთქმით საკუთარი ხელით დაჰკლავს თხას ადგილის დედის ნიშთან. მერე იწყება საერთო ღრეობა.

ძველად რა შინაარსი ჰქონდა ამ დღესასწაულს, ან რა ცვლილებები მოახდინა მასზე ქრისტიანობამ, არ ვიცი, ის კი ცხადია ჩემთვის, რომ ამ დღესასწაულში განსახიერებულია ერის სულიერი ნეობის განმტკიცება, მისი უაღრესი თაყვანება, მისთვის მსხვერპლის შეწირვა.

და, ვაი იმას, ვინც არ იწამებს ადგილის დედას, ვინც მოწიწებით არ ეთაყვანება მას. იგი გარიცხული იქნება თემიდან, შერცხვენილი, დამცირებული.

ადგილის დედასთან იდუმალის ძაფებით გადაბმულია ყოველი ადამიანის გული, მასთან დაკავშირებულია ყოველი სასიცოცხლო სულის სწრაფვა, ამ სამშობლოს ემბლემაში ჩაქსოვილია ყოველი უზენაესი განცდა ხილულის და ხილულის გადაღმა ფრთაგაშლილ შემოქმედებისა.

ადგილის დედა—ეს არის ნიადაგი, ურომლისოდაც ადამიანი ჰაერში ჩამოკიდებულს ემსგავსება.

ადგილის დედა—ეს საქართველოს გარდუვალი სულია. და ვინც ამ სულს განიცდის, ვინც მიაგნებს და აღმოაჩენს მას, მხოლოდ ის ეზიარება ეროვნულ უკვდავებას.

ქართველმა შემოქმედმა უნდა შეიხორცოს ადგილის დედა, მისით უნდა სულდგმულობდეს.

ადგილის დედა ის ბერკეტია, რომლის შემწეობითაც შეიძლება ქვეყნის ამოტრიალება.

და ჩვენმა ახალმა მწერლობამ უკვე მიაგნო ამ საიდუმლოებას. მან აღმოაჩინა თავისი თავი და შეიგრძნო სიდიადე ეროვნული სულისა, მან „აღმოაჩინა“ ვაჟას სული.

ეს არის უდიდესი მიღწევა ჩვენი ახალგაზდობის აზროვნებაში.

დღეს, არ შემიძლიან არ გავიხსენო წარსული ამ ახალგაზდობის· წარმოშობისა, როდესაც ისინი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ „ცისფერი ყანწებით“.

მათი გამოსვლა მეტის-მეტი თავისებური და ახირებული იყო. თუმცა ახალგაზრდული გამძლეობა მოსჩანდა მათში. მათს გამოსვლას პირადათ მე პროტესტით შევხვდი და „შოლტის“ ფსევდონიმით რამდენჯერმე პრესაშიაც ვამხილე.

კვირას, 6 ნოემბერს, ჩემდა საბედნიეროდ და მათდა სასახელოდ, დავრწმუნდი, რომ ამ ჯგუფს დიდი მომზადება, ენერგია უნარი და პათოსი მისდევს ჩვენი ცხოვრების შეგნებისა. ამ აზრს დავადექ მას მერე, რაც ეს ჯგუფმა ჩაერია გაზ. „ბახტრიონი“ს. გამოცემაში.

„ცისფერი ყანწები“ და „ბახტრიონი“!..

ეს ხომ ორი უკიდურესი პოლიუსია, ეს ხომ უდიდესი და არსებითი გარდატეხვაა ახალგაზდობის სულთა-სწრაფვში, ეს ხომ სამშობლოს გულმკერდზე დაკონებაა, ეს ხომ თავმდებია ჩვენი მწერლობის ფრთა-გაშლილ აღორძინებისა.

დიაღ, 6 ნოემბერი, დიდ ისტორიულ დღეთ აღინიშნება ქართველ ახალგაზდობის აზროვნების განვითარებაში.

და თამამად შეიძლება ითქვას, ამ წრეს 6 ნოემბრიდან რომ დაეწყო თავისი მოღვაწეობა (თუნდა „ბახტრიონით“), გაცილებით მოგებული იქნებოდა როგორც მისი ავტორიტეტი, ისე საზოგადოებრივი აზროვნება ჩვენი ახალგაზდობისა.

კერძოდ, ვაჟა-ფშაველას „აღმოჩენა“, ესე იგი მისი სულის შეგრძნება, მისი შემოქმედების შეთვისება, მისი განცდა—დიდი მიღწევაა ახალგაზდა მწერალთა ჯგუფისათვის.

რა თქმა უნდა, ვაჟა რომ არ ყოფილიყო, მისი „აღმოჩენაც“ არ შეიძლებოდა.

მაგრამ, რა კი ეს ახალგაზდობა ადგილის დედას დაუბრუნდა, რა კი იგი გულში ჩაეხუტა ქართული შემოქმედების სულის წიაღს, ეს არის თავმდები ქართული ეროვნული სულის გაუკვდავებისა ამ წრეში და ამავე დროს ეს არის ნათელი საბუთი ამ ჯგუფის ცხოველმყოფელი აზროვნებისა, რომელიც ადგილის დედაზე დაყრდნობილი, ანთებულის სწრაფვით წარემართება ქართული შემოქმედების აღორძინებისაკენ...

ამ გადუხჭირებულ ცხოვრებაში, დიდი ხანია ისეთი ძლიერი და მტკბარი გულის ძგერა, ასეთი გულითადი სულიერი კმაყოფილება არ განმიცდია, როგორც 6 ნოემბერს, ხელოვანთა სასახლეში.

**ნარ-კანი.**

# ქრონიკა

**გრიგოლ რობაქიძის მოხსენება.**

დღეს, 3 დეკემბერს, ხელოვანთა სასახლეში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს მოხსენებას:

**„ზე კაცი და იდეა მობრუნების.“**

**პ. ინგოროყვას ლექციების სერია**

ახალ მწერალთა კავშირთან არსებულ პოეზიის აკადემიაში პავლე ანგაროყვა წაიკითხავს ლექციათა სერიას:

„ძველი ქართული საერო ლიტერატურა კლასიურ ეპოქაში“

**„ლონდა“** „ცხვრის წყარო“ შემდეგ დასადგმელად, კ. მარჯანიშვილი ამზადებს გრიგოლ რობაქიძის „ლონდას,“ რომელიც ქართულ სცენაზე ჯერ არ დადგმულა.

**„ხომალდი“** გამოვიდა ჟურნალ ხომალდის №№ 4—5 რომელშიც მოთავსებულია ლექსები მოთხრობები და წერილები: ს. აბაშელის, ობოლი მუშის, ხ. ვარდოშვილის, ვარ. რუხაძის, გ. ბოჭორიშვილის, დ. შენგელიასი. ჭოლა ლომთათიძის, ივანე გომართელის „ს“-ის და სხ. ჟურნალს დართული ბიბლიოგრაფია, შეიცავს 104 გვერდს და ღირს 40.000 მანეთი.

---

*) რედაქცია უთმობს ადგილს ბ. ნარ-კანს. რედაქცია აღნიშნავს რომ „ცისფერ ყანწების“ პირველ მანიფესტშიც იყო აღნიშნული ვაჟა-ფშაველას გენია. ამ შემთხვევაში აზრის მობრუნება არ ყოფილა.

ბ ნარკანის აზრი მაინც საინტერესო რჩება საზოგადოებისთვის, როგორც ობიექტური დაკვირება სხვა შკოლის მწერალის

**რედაქცია.**

## აშორდია ტენორით.

ღმერთო, მაპატიე უმიზნო ცხოვრება,
ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი!
დღეს ჩემი ოცნება შენ გემათხოვრება—
ჩონჩხიან უცრემლო ქვითინით დაბურვილი.

უვიცს და უბედურს მე დიდხანს მეგონა—
საჭიროა დიდება, ბრწყინვალე სახელი.
ახლა ჩემი სული ლოცვას ჩაეკონა
მფარველ ანგელოსის მომესმა ძახილი.

შენ, სულო, ღმერთისკენ მუდამ მიდიოდი.
ახლაც პოეზიის დარბაზი გაშინებს.
შევსცქერი ქვეყანას, როგორც იდიოტი.
ირიბი სამყარო მთლათ გადამაშენებს.

თუ ვერ მოვახერხე, მაინც ხომ მწყუროდა.
მაინც ხომ მინდოდა ქრისტეს სიყვარული.
მაგრამ მაწვალებდა სარკის ფულუროდან
ვიწრო ყელსახვევით აჩრდილი ფარული.

თუმცა მე პოეტად თავი გავასაღე,
თუმცა გამოვკვეთე თრთოლვა იქითური,
არ იყო ჩემს ყოფაში სიმართლის ნასახი,
მეხალისებოდა ცხოვრება ბითური.

ვიყავი უკმეხი, როგორც რადძივილი
და ახლა ვთავებ ისევ მონანებით.
მიიღე, უფალო, ჩემი ლოცვის ტკივილი
გამაბედნიერე შენივე ზმანებით.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

1921 წ.

## ასპინძის ომი.

ელიან ხარბათ. მოლოდინში ფითრთდება სული;
თფილისი ქდალი, ჭროფლიანი დღეს არი ავად,
მაგრამ გაჩნდება ცხენოსანი ფერგადასული
და შიშის დამბლა დააწვება ქალაქს უძრავად.
ისმის ტირილი, ჭირვეულ ქალთა გოდება,
ზარების გლოვა, აქლემების ღმუილი ნელი;
სწუხს ნარიყალა, ამართული მძიმე ლოდებათ,
არავინ არი სიკვდილისგან გადამრჩენელი.
მზე დაწდა სისხლათ; ჟანგისფერი მძიმობს ჰაერი;
ხმა საოცარი ბრბოს მოედო როგორც სახადი;
გაწითლდა მტკვარი და შეიქნა სისხლის ნაირი.
და საკვირველათ იცრემლება ღვთისმშობლის ხატი.
ვეღარ მალავენ; გადაგვარჩენს მარტო უფალი
მოგვიკლეს მეფე, აღარა გვყავს ბატონიშვილი,
და ეშურება სიონისკენ თვით დედოფალი
ატირებული, თავდახრილი და ფეხშიშველი.

კოლაუ ნადირაძე.

## ეჭვიანი მგზავრობა შესაწირავით.

მივიღებ, ღმერთო, დამშვიდებას, მაგრამ გამამხნევე მხდალი:. რომ მაქვს სული რომელიც იმგზავრებს შენსკენ, ავივლი გზაზე ცხრა ცას.

ჩემი ნაცნობები ცოცხლობენ სივრცეში, შემხვდებიან და წამომყვებიან თანამგზავრებათ.

ზოგი მათგანი ბავშვია ფეხაუმდგარი.

ზოგი ავათმყოფი—ავიზნიანი, ნაყვავილები.

უნდა გავათბო შენ საფეხურებთან.

მჩატეა ჩემი ტვირთი ქვეყნიდან და არ გამიჭირდება შენი კიბის საფეხურებზე ამოსვლა

მომაქვს შესაწირავი: წმინდა სანთელი, ჩემი ქალბატონის ვიწრო მხრების თრთოლვა, სატურნის სურნელება მიწაზე, დაბორკილი ენა, რომელიც უქმად ვათრიე კბილებში.

მეშინია უფალო გაქრობის, და თუ არ ჩამოხვალ ჩემში, გადაგიდგები.

## ქაღალდის პირამიდები

თაროებს და კუთხეს მოაცილა ობობა. კედლები მორთო აყვავებული ტოტებით.

მოკაზმა პატარა დედოფალა. ჩააცვა ფარჩა დაკიდა სამკაულები.

დაისმა ოქროთი აუვსო ოთახი.

მოვარაყებულ ფანჯრებზე გააკრა ქაღალდისაგან გამოჭრილი პირამიდები, ქარავნები, კოშკები.

ფანჯრებიდან გადმოიხედა უდაბნომ და ძველმა ზღაპრებმა.

პატარა ხნით დატოვა ოთახი რომ, შემოვიდეს და უეცრად გაკვირდეს.

სერგეი კლდიაშვილი.

## ეპიტაფია

უყვარდა საწყალს ეკლესიის იდუმალება.
ცრემლის ჩარჩოში ჩაეენილი სანთლის მადონა.
უხსოვარ დედის მოგონება იქალბატონა;
და მის თვალებში ჩაწოლილი იყო წვალება.
მოვიდა ჩუმი და ცხოვრება ეუცნაურა.
დამწვარ დღეების აწვალებდა საშინელება.
შემოეჩვია შორეულის ნაზი ხველება;
და ნინოს თმები დაიყარა გულზე ფარულად.
ცბიერ ცრემლების ატირება ჰქონდა ადათად.
უყვარდა გრიგოლ, ტიციანი და ვალერიან.
ნახა პაოლო ბარბაროსი: გზა აერია.
ო, მათი ხსოვნა ჩაიფინა საფლავში დარდათ.
მიიღო კრთომით ეს ქვეყანა მან ფსევდონიმათ.
თოვლის ვარსკვლავებს—როგორც ვაშლებს—ჰყრიდა ის ველათ.
ააქვითინა მიწა წმინდა ცის საკმეველათ.
დაჰქონდა ზურგით დაბადების წუთი კვიმატი,
იყო ნათელი, უმეცარი, ჯვარით ავსილი.
(ამბობდა ხშირად: ,,სურნელ მთვარეს ცოდვით აციებს")
ის მოწამლული პოეზიის ჰყავდა ბაცილებს,
მაგრამ უეცრად სონეტებთან დალია სული.

შალვა აფხაიძე.

## დიფირამბი ზეტერას

ეგ შენი სხეული
დიფირამბს ელოდა,
როგორც ქალს ავხორცას ჰაშიში: გარემო.
ჟნებით სიცხეული
ხარ სამეგრელოდან.
მენადებს გასევენ ცის შემოგარენი.

გეტერის ტკივილი ტანაშლილს გატირებს
თხისფეხით გამორბის ნაპრალზე სილენა
სილენა დატევრილ მტევნებით რქებზე.
გვერდები ჩაენგრა გალეშილ სატირებს
ტყეებში, კლდეებში და მთების ქვებზე..
წივილით სისხლს წოვენ მზეს მონაწილენი
სილენა... სილენა მტევნებით რქებზე.

ფრენები. ფლეიტა. ფერხული ვისია?
თაფლია ველური და ღვინო თქეში...
ევოე... ევოე... ეს დიონისია
მთვრალი და უსირცხო ყყელაზე თქვენში

მღერიან ღმერთები
ცხარა მზედ და ორ ცად
და ჩვენც ავმღერდებით
გადახსნილ ხორცად.
სიტკბოში გატერენას სქესები ეძებს-
ღმუილით გაღება მხეცებს.
ტრიალებს ტრამალი. თესლებით მტერი
შევერთეთ ბუნებას, შევერთეთ ტრიალს

ველები ივლება ვენახათ ვაზის.
შავყელა ყვავილი დავყნოსეთ სხვაფრად.
შეშლილი ვეშვებით ფირუზა ფაზისს
და ტანებს ტალღები ტეხავენ მძაფრად!

შალვა კარმელი.

## ლ ა თ ა ი ა

იწვის თუთუნი, სამსუნიდან ჩამოტანილი.
ჩემ თვალს გაურბის ჩუქურთმება ლურჯ ოცნებისა.
სუფრას ამშვენებს თუშის ყველი, ვერის მწვანილი
და გულს დაადგა გველაშაპი მწარე ვნებისა..
ლორის სიმსუქნე თალიშ ხახვით გადაფარული
სამხარს მაგონებს გიორგ მეფის მეთორმეტისას.
ყურძნის შხამს ვგემობ, გულით მთვრალი და აკლებული
და ბრუნდ სარკეში სახეს ვეძებ მე პოეტისას...
ქალიშვილებო, მოდით ჩემთან ამ წუთს საკვირველს.
ბრძენ ლათაებით მე დავტვირთავ უცნაურ ვირსა.
ჩემს მთვრალ სიმღერას მივცემ თქვენში მე მხოლოდ პირველს
უკანასკნელს კი მწარე ცრემლებს და ვაჟიშვილს.

სანდრო ცანჩელი.

## მკვდარი მზის სხივებში.

ვით ქაშუეთის მაღალი ჯვარი აზიდულია ლურჯ სივრცეში მრეხის მწვერვალი.

ფოლადის კორსეტს აუწურავს გამხდარი ფერდი და ჯვარცმულივით გადაზნექილა იწრო ბეჭები.

გრიგალის ნიჩაბთ ბნელ აკლდამით დაუფარავს იმისი მკერდი.

მოხუც ლეგენდებს აუგიათ სასახლეები.

მარილის სვეტად ქცეული სახე, ფერმიხდილი ქანდაკად იდგა მწვერვალის მკერდზე.

ამაყი ირმის შიშველი შუბლი, დაფოთლილი ანძის შტოებად — დახლართულიყო...

არწივის ტახტად მოემარჯვა უფერულ მაღლობს.

რაშის ნალებით მოფენილიყო საუკუნეთა მზვერავი შარა—დასიცხულ ენას რომ მიაგავს თავის ანთებით.—

—

— ვეღარ შევიძლებ...

— ერთხელ კიდევ. მხოლოდ ერთხელ... სულ ახლოს არის.

— მე მაშინებს მისი უდაბნო

— მრეხის მწვერვალი უდაბნოს არ ჰგავს. მართალია, ცვალებადია: ცეცხლად ინთება. იხურება. ფითრდება კიდეც. შეხედე იქ, შორს. თეთრი ღრუბლები.

— ვხედავ.

იქ მარადი თალები არის—შენი თვალების ფერისა... უნდა ავიდეთ. უნდა ვნახოთ.

— წამიყვანე.

—

— აგერ ქანდაკიც... დააკვირდი სად იხედება!!

— დაბლობისაკენ. ჩვენ იქ ვიყავით.

— სხვას ვერას ხედავ? აი იქით, სადაც ნისლი შუა იყოფა.

— ვხედავ... პატარა გორაკთ გვირისტებს ვხედავ.

— იქ საფლავია. ბევრი საფლავი... მუხის ფიცრებით შეჭედილია მრავალი კუბო.

— ბევრია... რატომ?

— დიდ ბრძოლის დარჩა მოსაგონარად... მარაბდის ბრძოლის. მაშინ დაიჭრა სასიკვდილოდ რასაც უყურებ... იმის გადაღმაც. ფოლადის მკლავმა, ფოლადის ხმალი, როს ის დამარცხდა მიწას აძგერა და ქრისტეს ტანჯვით გადასტეხა მკერდში მახვილი—მაშინ გაქვავდა მარილის სვეტად, აქ ლოცვად მდგარი მოზარე ქალი.

— მარილის სვეტად... რათ არ adნობს ვარსკვლავთ ცრემლები?

— მრეხის მკერდი აშრობს იმ ცრემლებს...

— დღე გარდატეხას მიუახლოვდა. აგერ ჩამოჯექ. შუა დღის ზღვარზე ატირდება ორი ცრემლით მარილის სვეტი. მაშინ იქ დაბლა, საფლავთა რიგებს, ვით ცის სარტყელა მოეფინება მკვდრის მზის სხივები...

სდუმდე, იწყება...

—

მარილის ქანდაკს, მიმქრალ თვალთაგან ორი წვეთი გადმოეკიდა მუნჯათ გაქანდა უფსკრულისაკენ და მრეხის ფუძეს ის ჩაეკირა. გადაირეკა ღრუბელთა ჯარი და ფარდებიდან ცისფერმა თალმა გამოიხედა.

საფლავთა რიგმა თმა გადიყარა და ფირუზით ფერით შემოიქამრა მაგარი წელი...

ცისფერ თალიდან ჩამოეშვა მოთენთილ სახით, ქარვასავით შეფერებული სხივთა ისრები და მრეხის მწვერვალს მიაშურა შემოსახვევათ.

ცივი იყო, ვით კოცნა მკვდრისა.

ირმის რქაზე დაყრდნობილი ფრინველი თავადი, ტალღად აქანდა, აალელვა ძლიერი მხრები, მოიტაცა მთელი რიგი სხივთა ისრების და მიაშურა

საფლავთ გვირისტებს.

ვით მეტეორის ცეცხლის ლეჩაქი, მას თან მისდევდა გრძელ ქარავნად ქარვის ლენტები. დალურსმულ ნალებს მოაგონდათ რაშის ფეხები და ლითონის ხმაზე ააკივლეს ტაშების ქარი.

მკვდრის მზე მოვიდა.

—

საიდუმლოთი ორსულ კლდევანს ამოხდა ოხვრა. შეჩერდა ჟამი.

და მუზარადით ჩაფხუტ ახდილი. წვრილ თვალ ჯავშანის წამოსასხმით. მძიმე ქამარით შემოსალტული. თავით ფეხამდე ფოლადათ ქმნილი მდუღარე ტანჯვით დატვირთულ თვალით. ხაზებით სერილ მაღალი შუბლით. ხელში გადამტყდარი მახვილის ტარით

გადმოაბიჯა კლდეს მოურავმა და საფლავებთან შედგა სარდალი.

შოთა დადიანი.

# პოეზია და ლიტერატურა

## საფრანგეთში.

(ანრი დე რენიეს წერილიდან)

ძმ. გონკურრების სახელობის წლეულს მისჯილმა პრემიამ, დიდი ხმაურობა ასტეხა. ბედნიერი ლაურეატი იყო ეკვატორიულურ აფრიკის ზანგი, რ ე ნ ე მ ა რ ა ნ, ავტორი რომანის ,,ბატუალა‘‘ ამ რომანის შესახებ ჩვენ გვქონდა ცნობები გაზეთ ,,ბახტრიონის‘‘ ფურცლებზე. რომანის მოქმედი პირებიდან ავტორს არ გამოჰყავს გმირები, პოეტური მეოცნებენი. მათი გრძნობები მოკლებულია ყოველს პოეზიას. ისინი ნამდვილი ზანგები არიან, რომელთა იდეალია სმა ჭამა, მაგარი ძილი და გრძნობითი სიტკბოებანი. ამ ალვირ აშვებულ გრძნობიარობას უჭირავს რომანში ცენტრლური ადგილი.

რომანი უბრალო ასახვაა პრიმიტიულ ცხოვრების. ეკზოტიური სიცხით როა გამაძღარი. წიგნში არავითარი სულიერობა არ არის მასშია თარეში მხეცური გრძნობების—ჭამა, გემო, მხედველობა, სურნელი. ამ რომანში თქვენ ძლებით, გესმით გამაყრუებელი გონგი ჰხედავთ გაზმორებული სიცხის ტალღებს და ჰსუნთქავთ თხის, ძაღლის, ოფლის და ეკსკრემენტების სუნს. რომანი ცალკე წიგნად გამოსცა ,,მსოფლიო ლიტერატურის‘‘ გამომცემლობამ.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღნიშნოს რ ა ი მ ო ნ დ ე შ ო ლ ი ე ს რომანი Fcholier, რომელმაც ,,ფემინის‘‘ პრემია მიიღო. ამ რომანმა დაამარცხა პ ა რ ნ ე ტ ტ ა უ ი ლ ი ს ‘‘სიყვარული‘‘.

შემდეგ უსათუოდ საინტერესოა უ ა კ შარდონის ,,ეპიტალამა‘‘ რომელიც ათითა აკადემიის მიერ გათანაბრებული იყო მარანის ,,ბატუალა‘‘-სთან. ‘‘ეპ ი ტ ა ლ ა მ ა‘‘ წარმოადგენს, ავტორის ლიტერატურულ დებიუტს და მაინც მეტოქეობას უწევს თანამედროვე საუკეთესო რომანისტებს. მის რომანში არ არი რომანტიული თავგადასავალი ანუ დრამატიული შემთხვევები, აქ არ არი მოქმედების განვითარება, კვანძი, ინტრიგა, არც ანალიზი და ფილოსოფია. თქვენ ვერ იპოვით მასში ყოფაცხოვრების გამოსახულობას ან ზნეობის სურათებს. დეკორატიულობა, მხატრობა იჭერს აქ ადგილს. ,,ეპიტალამა‘‘ რომანია—მოძრაობაში. იგი არ არი წინასწარ შეთხზული არამედ, ჩვენ თვალწინ იზრდება სცენა სცენაზე, ფურცელი ფურცელზე, წუთი წუთზე. მიუხედავად რომანის დანაწილებისა, იმპერსიონიზმისა და საერთო ღერბის უქონლობისა, ეს 630 გვერდიანი რომანი იკითხება დიდი ინტერესით.

აი კიდევ საინტერესო მწერალი ა ნ რ ი ბ ე რ ო. მან დაბეჭდა რომანი ,,მთვარიანი შაბიამანი‘‘ რომელიც გვიბრუნებს თავგადასავალის რომანს და რომანს ისტორიულს. მოქმედების დროთ ავტორს აურჩევია 18 საუკუნე, რომლის ციხე დარბაზებში, მოქმედობს მისი დრამატიზმით სავსე რომანი. ავტორს აქვს ნიჭი გამოსახვის, რაც სჩანს მის წვენიანს შაღებილს ენაში. რომანს გადავყევართ ლუი XV ის ეპოქის ვერსალში, მადამდჲუ ბარრის ლჲუსენში, ტესარტინის პარიზში ისტორიულად რომანი სიმართლეს მოკლებულია, მაგრამ ბერო ხომ რომანისტია და არ ისტორიკოსი.

ბერო უთუოდ ნიჭიერი მწერალია. მისი ,,მთვარიანი შაბიამანი‘‘ მეტად საინტერესო ცდაა და კარგს დაპირებებსაც იძლევა.

კიდევ სხვა მწერალი პ ი ე რ ო მ ა კ-ო რ ლ ა ნ ეს უსათუოდ ნიჭიერი და ორიგინალურია და თავისი გზებით მავალი.

თავგადასავალის რომანში მან შეიტანა ძლიერად გამოთქმული პირადი ელემენტი. მისი თვისება: ჲუმორი, ირონია, სალებავი და იდუმალობა. კომპოზიციაში იგი არ არის ნათელი. საერთოდ მისგან ახლად გამოქვეყნებული რომანი ,,ამორძალი ელზა‘‘ გამარჯვებულად ვერ ჩაითვლება. უფრო საინტერესოა მისი სხვა რომანები, როგორც: ,,ზანგი ლეონარდო‘‘ და ,,მეტრი ჟაკ მიელენ,,.

### ფრანგი პოეტები.

რ ე ნ ე ა რ კ ო ს ი. ამ ჟამად ერთ ერთ დიდი გამომცემლობის სათავეში დგას. თავის წიგნში ,,სხვისი სისხლი‘‘ უსათუოდ დიდს ქმედითს ტემპერამენტს იჩენს. აქ არის ვნებათა ძახილი, ძალა ირონიის და აღწერისკენ გადახრა.

ჟ ო რ ჟ შ ე ნ ნ ე ვ ი ე რ. მან გამოაქვეყნა ,,მოწოდება ზავისკენ‘‘, წიგნი გადაჭარბებული ლირიზმით მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და გულწრფელი ერთიან კაცობრიობის რწმენაში.

პ ო ლ-ვ ა ლ ი ა ნ-კ ჲ უ ტ უ რ ჲ ე მ დასწერა ,,ცეკვა სიკვდილისა‘‘, მკაცრი და ტრაგიული ლექსებით, მოკლებული სულიერ სირბილეს.

ი ო ა ხ ი მ უ გ ა ს კ ე ნაციონალი პოეტია. მისი ,,ჰიმნები‘‘ რომელშიაც თავმოყრილია მისი ლექსები აღტაცებით მიღებულია ფრანგული ეროვნული პრესის მიერ.

ჟ ო რ ჟ დ ჲ უ ა მ ე ლ. მისგან გამოქვეყნებულია რამდენიმე ტრაგიული საგალობლები, რომელშიც ჩასხმულია მისი უღრმესი სევდა.

ჟ ჲ უ ლ რ ო მ ე ნ. მისი წიგნი ,,ევროპა‘‘ —ეს არის უკანასკნელი სალამი, სიკვდილის წინა წუთების სიმღერა, აპოთეოზი მისი სიჭაბუკის მაღალი და ცეცხლიანი იდეალების.

მ ა რ ს ე ლ მ ა რ ტ ი ნ ე. შვეიცარიაში დაბეჭდა ,,დაწყევლილი დღეები‘‘. წიგნი სავსეა რევოლიუციური ექსტაზით და წყრომით მსოფლიო ომის წინააღმდეგ. ეს წიგნი თითქმის ყველაზე საინტერესოა უკანასკნელ ხუთი წლის პოეზიაში.

პ. ჟ უ ს. მისი წიგნებია: ,,პოემა დიდი დანაშაულობის წინააღმდეგ‘‘ ,,საათები‘‘

# ახალი ინგლისური ლიტერატურა.

ახალგაზდა მწერლებიდან ევროპიული სახელი მოიპოვა დ. ლორენსემ (პოეტი, დრამატურგი, რომანისტი, ფილოსოფოსი) როგორც ყოველი გენია, პირველადვე ის ვერ იქნა გაგებული და სასტიკად იდევნებოდა. მისი რომანი ,,ცისარტყელა‘‘ გამოცხადებული იყო როგორც უზნეობა; რომანის ყველა ეკზემპლიარები განადგურებული იქნა პოლიციისაგან. მისი ახალი წიგნებიდან შესანიშნავია ლექსების წიგნი ,,იტალიის ბინდები‘‘. მისი შედევრი—,,შვილები და საყვარლები‘‘ (1913) ერთად ერთი უშესანიშნავესი რომანია უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში.

თანამედროვე პოეზია ხსნის მშვენიერ პერსპეკტივებს მომავლისთვის. გულწრფელობის ტონი ახასიათებს პოეტებს—სიგფრაიდ სასუნს, ჰერბორტ რიდს, ოსბერტ სიტუელს და რობერტ გრევს.

დიდი ძალა და უშუალობა გამოიჩინეს აგრეთვე პოეტებმა ელდონს გეკსლიმ და ელიოტმა. სრულიად თავისებური მწერალია მაქს ბირბომი. ჰერბარტ ევლსი, არნოლდ ბენეტი, კემპტონ მაკენზი, და ხიუ უოლპოლ ამაგრებენ ინგლისურ ლიტერატურას. სულ ახალგაზდა მწერლებიდან უნდა დავასახელოთ უ. ხადსონილ ერთად ერთი საუკეთესო პროზაიკი—ავტორი ,,ელ ორუბის‘‘, რ. კენნიგამ, ჯენ ჯოის და სხ.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ უინდსემ ლიუიზი, ერთი მთავარი წარმომადგენელი მხატვრული ექსპრესიონიზმის.

მისი ერთად ერთი რომანი ,,Вачч‘‘ შეიცავს ბევრს კარგ ადგილებს, მაგრამ გამარჯვებულად მაინც ვერ ჩაითვლება. მხატვრობაში ის თავხედი ნოვატორია და დიდის გაბედულობით მიდის თავის გზაზე. ინგლისელი მხატვრები მასში ჰხედავენ თავის ბელადს და ისიც უსათუოდ იმსახურებს ამ როლს. და არც ერთს თანამედროვე ინგლისელ ოსტატს იმდენი არ გაუკეთებია ახალი თაობის განთავისუფლებაში წარსულის ბორკილებიდან, რამდენიც მას.

# ქრონიკა

### პრემია ლექსისთვის.

ფრანგი პოეტების საზოგადოებამ გასცა ორი პრემია: ჯორჯ დესსუდეს პოემისთვის ,,ინგლისური გრავიურა‘‘ და ჟოზეფ პუარეს პოემის თვის ,,სული‘‘.

### ღმერთების სისხლი.

გამოვიდა ფრანგი მწერლის მარკ ელლერის რომანი—,,ღმერთების სისხლი‘‘.

### რომენ როლლანი.

სულ ახლო ხანს პარიზში დაიბეჭდა რომენ როლლანის რომანი (დაწერილი 1914 წ.) ,,კოლა ბრენიონ‘‘, რომელიც მოულოდნელსა და ბრწყინვალე შთაბეჭდილებას სტოვებს.

წიგნი დამყარებულია სიტყვაზე, სავსეა ალიტერაციებათ, ასონანსებით და შინაგანი რითმებით, გასაოცარის მდიდარის ლექსიკონით. „კოლა ბრენიონ“ დლიურია მეჩვიდმეტე ს. პროვინციალი ბურჟუის.

როლანი თითონ ასე განმარტავს თავის წიგნს: „ეს წიგნი გულ-ღიაა, სადა, რომელსაც არავითარი პრეტენზია არა აქვს ქვეყნის გარდაქმნის, მისი აღსნის, უპოლიტიკოა, უმეტაფიზიკო“.

### ჟ. დიუამელი.

ჟ. დიუამელმა გამოსცა კრებული მოთხრობების და ესკიზების ,,დატოვებულნი‘‘.

წიგნში სჭარბობს რეალისტური, ტლანქი ტონები, მაგრამ ზოგ მოთხრობებში მოსჩანს თეთრი იდილიური ფერადები.

### ჩირაღდნები და ჭრაქები.

ამ სათაურით რონი უფროსმა პარიზში გამოსცა წიგნი თავის მოგონებების; წიგნი შეიცავს პიკანტურ ანეკდოტებს და ოსტატურ პორტრეტებს: კლემანსო, ძმ. გონკურები, ზოლა, დოდე, უჲისმანს, როდენბახ, მალარმე და სხ.

### იტალიური ლირიკა.

ახალი იტალიელი ლირიკოსები მეტად განსხვავდებიან თავიანთი მიმართულებებით. ასე მაგ., წიგნი ლიონელი ფიუმის დაწერილია მოდერნული სულით და ღია ეროტიკით. აურო და ალვის და უგო გირონის ლექსები კი ნალვლიანია და დაწერილი ძველი მანერით. მეტათ ბანალურია ჯიოვანნი კახატის ლექსი. ვიწრო რკალშია ჩაკეტილი ჯიონელლა, მაგრამ მისი სონეტები ყველაზე გულწრფელია

### პოეტესსა სიბილლა ალერამო.

იტალიის პოეტესებში უსათუოდ დიდი სახელია საბილლა ალერამო, რომლის ლირიკა მეტად მწვავეა და თავისებური

### პროზის ანტოლოგია.

მილანში გამოვიდა დ. ტიტისროსის მიერ ორ ტომად შედგენილი პროზის ანტოლოგია ,,თანამედროვე მოამბენი‘‘

### ირლანდიელი პოეტები.

ირლანდიის პოეტების წინ, დღეს ასეთი პრობლემა სდგას: იყვნენ წევრები ინგლისის ლიტერატურის ოჯახის, თუ შექმნან, საკუთარი ადგილი ევროპის ლიტერატურაში. რასაკვირველია, აქ მეორე აზრმა უნდა გაიმარჯვოს, რადგან ირლანდიაში დღითი დღე იზრდება წმინდა ეროვნული პოეზია, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: პირს. მაკ დონნ, დაგლას, ხაიდ ვილიამ იეტს, პლანკეტ, ჯორჯ რასსელ და სხ.

### ზანგური პოეზია.

ნიუ-იორკში გამოვიდა კრებული ,,ზანგური პოეზია‘‘. წიგნი დაწერილია ინგლისურად, ან ზანგო—ამერიკული ჟანგონით და გვიჩვენებს, რამდენი ძვირფასი რამ შეუტანიათ ზანგებს ამერიკულ პოეზიაში.

### ახალი პიესები.

ახალი პიესები ცნობილ გერმანელ დრამატურგების—„პიტერ ბრაუერ“, ჰაუპტმანის. და „სიმძიმე“ ჰოფმანსტალის—უკვე მოწმობენ ავტორების დაღლილობას. მართალია, ორივეში არის ცოცხალი და ეფექტიანი ადგილები, მაგრამ, საერთოდ, დიალოგები უსიცოცხლოა, ხოლო მოქმედება—,,მეხანიკური‘‘.

### ჰერგარტ ჰაუპტმანი.

ბერლინის სახელმწიფო ოპერის ეკრანზე დაიდგა ჰ. ჰაუპტმანის ფილმა—ფანტაზია „ჰანნელეს მოგზაურობა ცაზე“.

პიესა, მეტად მხატვრულია და წარმოადგენს კინემატოგრაფიულ ტეხნიკის უმაღლეს მიღწევას.

**მხატვართა სახელმწიფო** სამი წლის წინად გარდაიც. მდიდარი იტალიელი აუგუსტო კაპრონი, რომელმაც ანდერძში თავის კუნძული კომაჩინა დაუტოვა ბელგიის მეფეს იმ თავდადების გამო, რომელიც მან და მისმა ხალხმა გამოიჩინა მსოფლიო ომში. ალბერტ მეფემ უარი განაცხადა და გადასცა იტალიის მთავრობას იმ პირობით, რომ მთელი კუნძული იყოს საკუთრება მხატვრების, ლიტერატორების და მუსიკოსების. იტალიის ხელოვნების სამინისტრო კუნძულის გაშენებას უკვე შეუდგა.

**თანამედროვე კონცერტი.** ძნელი სათქმელია, სად გაიმართა ეს კონცერტი: მსმენელები შეგროვდნენ ბრიუსელში, ამსრულებლები კი პარიზში, ეიფელის კოშკზე რადიო-სადგურის დინამო-მაშინით ასეთი კონცერტები შეიძლება სახლში უბრალო ტელეფონითაც მოისმინო.

## ბერნარდ შოუს პიესა

არც ერთ პიესას იმდენი კამათი, მსჯავრი, ტაში და სიცილი არ გამოუწვევია, რამდენიც ბერნარდ შოს პიესამ „უკან მათუსალისკენ“, რომელიც „თეატრულ ცეხმა“ დადგა ნიუ-ორკში.

არსებითად, ეს ერთი პიესა კი არაა, არამედ ხუთი, თამაშობენ ზედიზედ სამს საღამოს. უკანასკნელი მოქმედება სწარმოებს პირველი მოქმედებიდან ორმოციათასი წლის შემდეგ. პიესა იწყობა ქვეყნის შექმნიდან ადამ და ევა, სამოთხე, გველი. მეორე მოქმედებაში ჩვენი დღეებია გამოყვანილი. სცენაზე არიან: ლ. ჯორჯი და ასკვიტი. დანარჩენი სამი მოქმედება ეკუთნის მომავალ ეპოხებს: უკანასკნელი მოქმედება სწარმოებს 31. 920 წელს. მთელი პიესა—ადამიანს ნების აპოთეოზია. საკმარისია ადამიანმა ისურვოს და ის გახდება უკვდავი. ადამიანს შეუძლიან იშოვოს მათუსალას სიცოცხლე. პიესაში მოცემულია ალვირწახსნილი ფანტაზია; უკანასკნელ მოქმედებაში ხუთმეტი წლის ბავშები გამოდიან კვერცხის ნაჭუჭებიდან და წუთებით იზრდებიან. ერთ საათში ხუთი წლით ბერდებიან. ხელოვნება, სპორტი, გართობა აინტერესებს, ადამიანს პირველ ოთხ წელს, დანარჩენ 900 წელს ის დროს აღარა კარგავს ასეთ ,,სისულელეებზე.‘‘ კრიტიკოსებს. ძალიან მოსწონთ პიესის ადგილები, საერთოდ კი ძალიან მოსაწყენი და დამღალავია.

## მხატვრობა

**„სალონი დამოუკიდებულთა“** (პარიზში). წელს ნაკლებად საინტერესო იყო რადგანაც აქ არ მონაწილეობდენ ისეთი მხატრები, როგორც: მატის, დორენ, პიკასსო, ბროკ, ვლამენკ, ვრიეზ და სხ.

უფრო შესამჩნევი ნამუშავარი იყო ,,პიურისტების‘‘ ოზანფან და ჟანნერე, აგრეთვე ლიუფრენ, დიურეი, მორო და სხ.

**პიკასსო** მრავალ კუბისტიურ ნაწარმოებებთან ერთად, პიკასსომ შეასრულა მრავალი სურათი, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ კუბიზმთან.

**ანრი ჰავარ.** პარიზში გარდაიცვალა ცნობილი ხელოვნების მეისტორიე ანრი ჰავარ.

**კუბიზმიდან კლასიციზმისკენ.** ჟანო სევერინმა გამოსცა წიგნი ,,კუბიზმიდან კალასიციზმისკენ‘‘ რომელიც შეიცავს კუბიზმის და ფუტურიზმის კრიტიკას. წიგნში ახსნილია გარდატეხა მხატვრების რომელნიც ეხლა გაერთიანდენ ჯგუფში: ,,კლასიციზმის აღორძინება‘‘ (სევერინი, სოფეჩი, ბრაკ და სხ.) ეს მხატვრები წინად. იყვნენ ფუტურიზმის ბელადები საფრანგეთსა და იტალიაში.

**გამოფენა ფლორენციაში.** ფლორენციაში გაიმართა გამოფენა 17 და 18 ს იტალიის მხატვრობის. გამოფენა გამართულია პიტტის ორმოცდა ათ დარბაზში. აქ არი სურათები, სხვათა შორის მოტანილი გერმანილი გერმანიის მუზეუმებიდან.

**ჩეზარე ცოკი** ტურინში გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი მოქანდაკე ჩეზარე ცოკი.

# თეატრის ლეგენდებიდან

## ციციშვილი—,,პიკის ქალის‘‘ გმირი.

მეტად საინტერესო ამბავს გადმოგვცემს ,,Pereprinus Tdvss‘‘ ,,მუსიკალურ თანამედროვეში‘‘, ეს—უთუოთ თეატრის ერთ ლეგენდათაგანია, მით უფრო საინტერესო ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომ პუშკინის ,,პიკის ქალის‘‘ სიუჟეტში მთავარ გმირად (გერმანის მაგიერ) შეიჭრება ქართველი მხედარი ციციშვილი და ახალ მიმზიდველობას აძლევს პუშკინის ჩაიკოვსკის და ბენუას მიერ შექმნილ—,,პიკის ქალის‘‘ ფანტასტიკას...

იქნება ინტერესს არაა მოკლებული მითითება იმაზე,—ამბობს Tdvss, რომ პირველი ცდა ,,პიკის ქალის‘‘ სიუჟეტის საოპერო სცენაზე გადატანისა, მოხდა ჩაიკოვსკის განთქმულ ცდის რამდენიმე ათეულ წლით ადრე. ამ ცდის პირველობა ეკუთვნის ცნობილ ეჟენ სკრიბს,—მაშინდელ ყოვლად შემძლე მბრძანებელს და ფრანგულ საოპერო და დრამატიულ სცენის დაუღალავ ,,მიმწოდებელს‘‘ და კომპოზიტორ გალაევის, აქამდე პროვინციაში პოპულიარულ—,,ურიის ქალის‘‘ ავტორს. სკრიბს, ამ თეატრალურ ხელოვნების მისანს და სასწაულთ-მომქმედს, რომელსაც შეეძლო გოეთჰეს ბალლადების ბალეტად ქცევა, არ გაუჭირდა ,,ლიბრეტოთ გამოეყენებინა‘‘ პეტერბურგის მოთხრობა ,,რუს პოეტ პუშკინის‘‘, რეცენზეტის სიტყვით, ,,მეტად იდუმალი და მეტად საინტერესო მოთხრობა‘‘.

,,სიუჟეტების ისტორიის ამ კურიოზულ ეპიზოდის გასაცნობად ჩვენთვის არაა საჭირო მივმართოთ სკრიბის დრამატიულ თხზულებათა 68 ტომს ან ვეძიოთ ბიბლიოთეკის ,,რეზერვების‘‘ მტვერში გალევის პარტიტურა: ამ პირველ ,,პიკის ქალის‘‘ წარმოდგენის შესახებ, რომელიც იყო 22 დეკემბერს 1850 წ., ჩვენ გვაქვს ისეთ დიდ თანამედროვის გამოძახილი, როგორიც არის ტეოფილ გოტიე; ცნობილია, რომ ფელეტონის ამ დიდ ოსტატს ჰქონდა განსაკუთრებული დახელოვნება დიდათ რთულ სცენიურ ხლართის ირონიულ და მასთან სწორ გადმოცემაში. იმის დასანახავად, თუ რად გადაიქცა პუშკინის შემოქმედების ზრახვა ფრანგულ ,,თეატრალურ საქმეთა‘‘ ხელოსნის მეტად გამოცდილ ხელაში ჩვენ ვაძლევთ სიტყვას თითონ სახელგანთქმულ კრიტიკოსს.

მოქმედება სწარმოებს რუსეთში—ვკითხულობთ ჩვენ 27 დეკემბრის 1850 წლის გაზეთ ,,La Presse‘‘-ში და იხსენება გოტიურ ზალაში, რომლის მთელი სიღრმე უჭირავს ვეებერთელა გამოქანდაკებულ ბუხარს დიდი ცეცხლით და რომლის კედლები მორთულია ღერბებით; უკამასკნელთა შორის ირჩევა ღერბი, რომელსაც ამშვენებს მეტად საკვირველი ნიშანი—პიკის ქალის, ერთ იმ ატრიბუტთაგანის, რომელთაც გერალდიკის მცოდნენი აკუთნებენ რუბრიკას: საჭიროებენ კვლევა-ძიებას. ამ პიკის ქალს, რომელიც შეტანილია პაულოვსკების ,,ღერბში‘‘ აქვს თავისი ლეგენდა: გადმოგვცემენ, რომ ეშმაკთან ხელშეკრულობის წყალობით ამ ოჯახის წევრებმა შეიძინეს ქალალდის თამაშში მოგების საიდუმლოება. და სწორედ ამ საიდუმლოების გამოცნობაზე არაფრით უარს არ იტყვის პოლკოვნიკი ციციშვილი, ბრწყინვალე მფლანგველი და თავდავიწყებული მოთამაშე, მით უმეტეს, რომ მას მეტად ცუდათ მიუდის საქმეები; მაგრამ ერთად ერთი პირია ბატონი ამ საიდუმლოების—თავადის ქალი, პაულოვსკისა, ყველა ღირსებებით შემკული: შავი თვალებით, წითელ ტუჩებით, თეთრი ხელით, მომხიბლავ ჭკუით და გულწრფელობით, მაგრამ ამასთანავე დაჯილდოებული ორი ნაკლით: კუზიანი და კოჭლი,—ეს დიდია, მაგრამ ციციშვილს თავადის ქალის ბეჭები სწორედ ეჩვენება და ფეხები მოსხლეტილად—იმდენად შესანიშნავი ფორმულა, რომლის საშუალებით სამ ხელად თამაშში შეიძლება უდიდეს ბანკის ხელში ჩაგდება, ანთებს მის წარმოდგენას: მას სულ თვალწინ ეხატება პატარა ნიჩბები, რომლითაც იგი იწევს ოქროს გორებს.

კნიაჟნა პავლოვსკისა კი, ჭკვიანი, როგორც ყველა კუზიანები, ერთობ გულცივად ეპყრობა პოლკოვნიკის ამ უეცარ სიყვარულს, მით უმეტეს, რომ მან ერთხელ წინად უარყო იგი; მას აქვს კიდევ სხვა მიზეზები ციციშვილის წინადადების უარისსაყოფი: მას ფარულად უყვარს ახალგაზდა უნტეროფიცერი, რომელმაც რომანიულ გარემოებაში გადაარჩინა იგი. ეს ყმაწვილია ვინმე ნელიდოვი, აზნაურისშვილი, რომელსაც ღირსება აქვს ჩამორთმეული ციციშვილის ბიძის მიერ თითქოს სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის: ეს ბრალდება უსაფუძვლოა ყოველის მხრივ. შვილს უნდა თავის მამის მაგიერ გადაუხადოს ციციშვილს, რადგან თვით ცილის მწამებელი აღარაა ცოცხალი; მაგრამ პოლკოვნიკი მისი უფროსია; მაგრამ როდესაც იგი აძლევს მას წინადადებას საზღვარ გარეთ წასვლისას რომ შესაძლებელი გახდეს დუელი‘ ციციშვილი უპასუხებს მით, რომ ამოიღებს საფულედან 300,000 მან. ხელწერილის, ნელიდოვის მაგისაგან გაცემულს და ეუბნება შვილს, რომ დუელში გაჰყვება მაშინ, როდესაც ვალი სრულიად გადახდილი იქნება. უნტეროფიცერი თავს იკავებს; მაგრამ, როდესაც ციციშვილი თავის თავს ნებას აძლევს ორ აზროვან სარკაზმით შეეხოს კნიაჟნას, ნელიდოვი ჰკარგავს მოთმინებას, შეურაცყოფას აყენებს პოლკოვნიკს, რომელიც აგზავნის მას სამუშაოდ ციმბირის მაღაროებში.

შემდეგ მოქმედების დროს მაღაროებში—ციციშვილი ახლავს კნიაჟნას, რომელმაც მოისურვა ნელიდოვის ნახვა, რადგან მას მოსვენებას არ აძლევს ნეტარ სიტყვების ოდესმე გაგების იმედი: პოლკოვნიკი ცრუმორწმუნეა, როგორც ყველა ქალალდის მოთამაშე.

აქ ვინმე როსკავი ანთავისუფლებს ნელიდოვს კატორღიდან რისთვის მადლიერი კნიაჟნა უხსნის მას სამი ქალალდის საიდუმლოების და აჩუქებს როსკავს ჯადოქარ ბეჭედს. ციციშვილი მალულად უსმენს ამათ და იგებს ქალალდებს: დამა, ათიანი, სამიანი. მერმე განთავისუფლებული ნელიდოვი შეხვდება ციციშვილს გერმანიის კურორტზე და უნდა დაუბრუნოს უკანასკნელს მამის ვალის ნაწილი. ციციშვილი ამაზე უარს ეუბნება და წინადადებას აძლევს ნელიდოვს დასდოს ქალალდის თამაშში მთელი ვალი მაგრამ ციციშვილმა არ იცის ჯადოქარ ბეჭდის ძალა: მისი დამა მოკლულია.

**ალ. სუმბათაშვილი იუჟინი** შაბათს 26 ნოემბერს თბილისში პიატიგორსკიდან ჩამოვიდა ალ. სუმბათაშვილი იუჟინი

**ექ. მიხეილ გედევანიშვილის გარდაცვალება** 29 ნოემბერს, თბილისში გარდაიცვალა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელი, ექიმი მიხ. გედევანიშვილი.

**მეოცნებე ნიამორების № 8**

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით „მეოცნებე ნიამორების“ მერვე წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ლექსები და წერილები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, შალვა აფხაიძის, გიორგი ლეონიძის და სანდრო ცირკეიძის.

ნომერში მოთავსებული იქნება აგრეთვე ვალ. გაფრინდაშვილის თარგმანით ლაფორგის „სამგლოვიარო მარში“.

**ვაჟაფშაველას პოემები**

სახელმწიფო გამომცემლობა ს. აბაშელის რედაქციით საჩქაროდ ამზადებს ვაჟაფშაველას მე II ტომის გამოცემას. ამ ტომში მოთავსებული იქნება განსაკუთრებით პოემები, როგორც დაბეჭდილი, ისე დაუბეჭდავი.

**ვაჟაფშაველას ბიუსტი.**

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე ამზადებს ვაჟაფშაველას ბიუსტს.

**ალმანახი** ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი დეკემბრის 15-ისთვის სცემს სალიტერატურო ალმანახს.

**იაკობ ნიკოლაძის იუბილე.**

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის იუბილე, საიუბილეო კომიტეტმა გადასდო ორშაბათისთვის—11 დეკემბერს. იუბილე გაიმართება რუსთაველის თეატრში, ამ დღეს მოხსენებებს წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე, ივანე გომართელი და ვახტანგ კოტეტიშვილი.

**სახელმწიფო გამომცემლობაში.**

სახელმწიფო გამომცემლობამ მიიღო დასაბეჭდათ არტურ ლეისტის წიგნი— „საქართველოს გული“, წიგნი დაახლოვებით გამოვა იანვრის პირველ რიცხვებში.

**იაკობ ნიკოლაძის წიგნი.**

სახელმწიფო გამომცემლობამ დაავალა სახალხო განათლების კომისარიატს, რომ გამონახოს საშუალება იაკობ ნიკოლაძის წიგნის დასაბეჭდათ.

წიგნი დაახლოვებით იქნება 70 გვერდიანი, რეპროდუქციებით.

წიგნის რედაქცია საქართველოს ხელოვანთა კავშირის კომიტეტმა დაავალა ი. გრიშაშვილს, ტიციან ტაბიძეს და სანდრო ყანჩელს.

**მონოგრაფია ნიკო ფიროსმანზე.**

სახელმწიფო გამომცემლობამ მორიგ სხდომაზე 21 ნოემბერს მიიღო დასაბეჭდათ ნიკო ფიროსმანის ბიოგრაფია და კატალოგი სურათების ფრანეულად.

რეპროდუქციების დაბეჭდვა განზრახულია პეტროგრადში. მონოგრაფიას ადგენს ტიციან ტაბიძე ტფილისის მხატვრების თანამშრომლობით.

**ახალი ფარდა ქართულ თეატრისთვის.**

ცნობილმა თეატრალმა, გლუნე სუხადოლსკაია (ჭავჭავაძე,) რომელსაც ჰქონდა კ. მარჯანიშვილთან ერთად მოსკოვში თავის საკუთარი ,,თავისუფალი თეატრი‘‘. რუსთაველის თეატრს შესწირა ფარდა, ეს ფარდა დახატულია ცნობილ რუსი მხატვრებისგან და შეადგენს იშვიათ საჩუქარს. ქ-ნ სუხადოლსკაიას გადაწყვეტილი აქვს ქართულ თეატრს კიდევ ბევრი რამ უძღვნას, ამის შესახებ კიდეც განუცხადა განათლების სახალხო კომისარს.

**ყოველ დღიური გაზეთი.**

საქართველოს ხელოვანთა მთავარ კომიტეტის ყოველდღიური ორგანო განზრახულია გამოვიდეს პირველ იანვრისთვის.

დეკემბრის შუა რიცხვებში ქართულ კლუბში გაიმართება დიდი საღამო. მთავარი კომიტეტი ამ დღისათვის გამოაცხადებს მობილიზაციას ქართველ ხელოვანთა.

ვინც ამ დღეზე მონაწილეობას არ მიიღებს გამორიცხულ იქნება კავშირიდან. მთავარი ხელმძღვანელობა ამ საღამოსი მინდობილი აქვს ი. გრიშაშვილს, პაოლო იაშვილს და მოსე თოიძეს.

**ივანე ჯავახიშვილის მოხსენებები.**

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ.–ბის კრებაზე (ხელოვ. სასახლეში) ნოემბრის 24-ს, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ორი მოხსენება: ა) ერთი ფურცელი სომხეთის აგრარული მოძრაობის ისტორიიდან (10 ს.) და ბ) 18 საუკ. დამდეგის დასავლეთ საქართველოს რუქა.

## ვარლამ რუხაძე

ჩვენ გაზეთის წარსულ № დაუბეჭდეთ შენიშვნა, რომ წელს უსრულდება 30 წელი სამწერლო მუშაობის პოეტ ვარლამ რუხაძეს. ცნობა ამოღებული იყო ივ. გომერაულის ქრისტომატიიდნ ,,ქართველი მწერლები‘‘ რუხაძე ,,ლომის‘,‘ში ანიშნავს, მას მხოლოდ მომავალ წელს უსრულდება 25 წელი.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება განცხადება, რომ 5 დეკემბერს რუსთაველის თეატრში იმართება ვ. რუხაძის საღამო.

რედაქცია უნებლიე შეცდომისთვის ბოდიშს იხდის, და იმ ხალხს, რომელსაც მიმართავდა რუხაძის პატივსაცემლად წასულ № მოუხმობს დაესწროს მის საღამოს 5 დეკემბერს. პოეტის პატივისცემისთვის წლებს არ აქვთ ნიშვნელობა, თუმცა 24 წელ საგრძნობელია ყველასთვის რედაქცია დარწმუნებულია რომ ამ საღამოს დაფასებული იქნება ვ. რუხაძის გამოსვლა რომელსაც ტფილისში ხუთი წელია საღამო არ გაუმართავს.

## თეატრი ამერიკაში.

ამერიკის თეატრი, როგორც ყოველთვის ჩამორჩენილი, ახლა ევროპიული თეატრის გავლენით განახლების გზას დაადგა. შემოსავლიანი თეატრი თანადგილს უთმობს იდეურსა, ამ ჟამად არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი თეატრალურ დასი რომელთა შორი პირველს რიგში დგანან: ,,თეატრალური ცეხი‘‘ და ,,პროვინციალ მასიობათ საზოგადოება‘‘ თეატრალუ მოღვაწეებიდან ახლა ბევრს მუშაობს არტურ ხოპკინს, რომელთაც თეატრს აძლევს უმაღლეს დინამიურობას, და დრამატურგი ონნეილ; უკანასნელი ცდილობს შექმნას თეატრი ემოციონალი უფრო დიდს როლს ამერიკის თეატრის განახლებაში თამაშობენ მხატვრები, რომელნიც მსახიობებსაც და დრამატურგებსაც წინ უსწრობენ.

რობერტ ედმონდ ჯონს ქადაგობს თეატრს, რომლის სცენიური მოწყობილობა უნდა მიჰგვიანდეს ფონტატიურ სურათს, რის დეტალებიც პიესის მსვლელობის დროს მჟავნდება.

სცენაზე უნდა გაჰქრენ ცალკე ინდივიდუუმები, იგინი უნდა შესცვალონ უზარმაზარ ბრბოებმა, რომელნიც ჰაეროპლანის სიმაღლიდან თუ მოსჩანან.

არხიტექტორი გერმან როსი სცდილობს გსრდაქმნას სცენა და მაყურებელთა დარბაზი, ახალ თეატრალურ მისწრაფებასთან შეფარდებით. კერძოდ ის აკეთებს მოძრავ დეკორაციებს.

## თანამედროვე ამერიკელ რომანისტები.

კარლოს ვან დორნიმ გამოსცა მეორე ტომი ამ სათაურით: „თანამედროვე ამერიკელი რომანისტები“. ამ წიგნში ავტორს განხილული აქვს ამერიკული ლიტერატურა 1900—1920 წლებისა და იძლევა უფრო ცნობილ თანამედროვე რომანისტების დახასიათებას.

აქ შეხვდებით როგორც ძველებს: მარკ ტვენს, ჯეკ ლონდონს, ო‘ გეპრის, ისე აქ არიან სულ ახლებიც: ტეოდორ დრეისერ, სინკლერ ლიუის, ხერგეს ჰეიმერ და კიდევ სხვები, სრულიად უცნობი ჩვენთვის, მწერლები. ახალი ამერიკული ლიტერატურა არის ოპოზიცია წინაალმდეგ დახავსებული ლიტერატურის, იგი ოპოზიცია ნატურალიზმის და სასტიკი კრიტიკა სინამდვილის. აქ არის მხილება საზოგადოებრიობის, აჯანყება პირობითი ოპტიმიზმის წინაალმდეგ, რომანებში გამოდიან ტიპები ამერიკის ინდუსტრიალ ცხოვრების მიერ შექმნილი.

აი ახალი ლოზუნგი ბერნარდ შოს პირით: „როცა ირგვლივ ყოველივე შიმშილობს და იღუპება, და არავის არ შესწევს სული და გული, რომ ხმა აღიმაღლოს, ამის შესრულება საუკეთესო მწერლებს უხდებათ“.

ნატურალისტურმა საზოგადოებრივმა რომანმა შესცვალა რომანი ძველი სტილის, რომელშიც მთავარ როლს თამაშობდა კულტი „ადგილობრივი კოლორიტიო“. ამ სახის ლიტერატურა შექმნილია ბრეტ გარტის მიერ, ყვანდა ძალიან ნიჭიერი წარმომადგენლები, მაგრამ ახლა იგი უკიდურეს ბანალობამდე მივიდა და მოკლებულია ყოველივე ფსიხოლოგიურ შინაარს: ამ უზარმაზარი ლიტერატურიდან ერთად ერთი საინტერესო რომანია: „ბიძია რემუს“ ჯოეულ ჩენდლერის—უმთავრესად მისთვის, რომ მასში სჭარბობს ზანგური ფოლკლორი.

ახალ შკოლიდან შესანიშნავია რამლინ გარდონ, რომელმაც დასწერა რომანები: ,,დიდი გზა‘‘, ,,პრერიის ხალხი‘‘, ,,ვარდი დეტჩერ კულიდან‘‘ და სხ. ყველა ეს რომანები დაწერილია მკაცრი რეალისტური სტილით. მათი შინაარსია: ფერმერების ცხოვრება, ახალი თაობის ლტოლვა ქალაქთა თავისუფლებისადმი.

ყველაზე პოპულიარულია უინსტონ ჩერჩილი, რომელმაც შემოიღო ისტორიული რომანი ამერიკის წარსულიდან, როცა ბრძოლა იყო დამოუკიდებლობისათვის, მისი რომანები სრულიად აკმაყოფილებდა ამერიკელთა ეროვნულ თავმოყვარეობას და მალე მან ვილტერ სკოტის დიდება მოიპოვა. მისი რომანები გამსჭვალულია დინამიზმით და დამყარებული ცხოვრების წინაალმდეგ ბრძოლით. ამაშია მთავარი ღირსება ჩერჩილისა.

იგი უმთავრესად, პოლიტიკოსია, იდეური მომხრე რუზველტის, პროპაგანდისტი საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ენერგიის, მაგრამ მას თავის რომანებში გატაცებით გაჰყავს თავისი იდეური ამერიკანიზმი.

ახალი მწერლები სასტიკად ამხილებენ ამერიკულ ცხოვრებას. მაგალ. რობერტ ხერრიკ, ილაშქრებს ამერიკელი ქალის წინაალმდეგ და ამტკიცებს, რომ ის, შრომას გადაჩვეული, მთელი არსებით, პარაზიტია და უსულო არსება.

ასეთი ტიპის მწერლები არიან: ეპტონ სინკლერი, ტეოდორ დრეისერ.

მაგრამ რეალისტურ რომანთან ერთად, ამერიკაში გავრცელებულია რომანი ესთეტიური, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია ხერგეს ხეიმერ, ავტორი შესანიშნავი რომანის: ,,სამი შავი პენსილვანელი‘‘. აქ მოცემულია ყოფა-ცხოვრება გარდასული დროების, და ამერიკული კულტი ძვირფასობის.

უახლოესი ამერიკული რომანისტები, ერნესტ პული, ლი მასტერს, შერვიდ ანდერსონ და სინკლერ ლიუირ, გაერთიანდნენ სოფლისადმი სიძულვილით. მაგრამ ახალგაზდა ლიტერატურა ილაშქრებს არა მარტო სოფლისა და ქალაქების, არამედ მეშჩანური სულის წინაალმდეგ.

რედაქტორი **გიორგი ლეონიძე**


## რუსთაველის თეატრი

სამშაბათს, 5 ნოემბერს გაიმართება

## ვარლამ რუხაძის საღამო

მოხსენებას წაიკითხავს ივანე გომართელი, „რუხაძის პოეზია“ ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწილებში მონაწილეობენ თბილისის გამოჩენილი არტისტები და მწერლები.

## ტფილისის ალმასკომი

### აცხადებს საყურადღებოთ ყველა იმ

### სახელმწიფო დაწესებულებათა და

### კერძო პირთა

ომელთაც უკავიათ რეგისტრაციაში გაუტარებელი სავაჭრო-სამრეწველო ხაიათის შენობები (დარაბა, საწყობი, სარდაფი, ფარდული და სხვა), რომ ისინი ვალდებულნი არიან ა. წ. 1—ლ დეკემბრამდე გამოცხადდენ ალმასკომის შენობაში, (ოთახი № 23—სადარაბო სექცია) და გაატარონ რეგისტრაციაში ათ მიერ დაკავებულ ზემო მოხსენებულ სავაჭრო-სამრეწველო შენობები; წიაალმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი იქნებიან და დასჯილნი ადმინისტრატიული ესით № 50 სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, შენობები კი ჩამოერთმევათ სხვა პირებზე გადასაცემათ.

ქალაქის ალმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

საფინ. განყოფილ. გამგის მოადგილე **მ. ხახილია.**

გადასახადთა ბიუროს გამგის მოადგილე **გ. პაპიძე.**

## საჯარო ვაჭრობა

**ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბ. რკინის გზის მმართველობა** აცხადებს, რომ 1922 წ. 5 დეკემბრისათვის დღის 12 ს. ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოში (ვოგზ. ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

## საჯარო ვაჭრობა

**1923 წ. 1-ლ იანვრიდან გაცემისათვის:**

**1 ვაგონი რესტორანის**

**3 ბუფეტი ვაგონის.**

**1 კლასის სადგურის ბუფეტების** სადგურებზე: ბათუმი, ჩაქვა, სამტრედია, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, ბორჯომ-პარკი, მცხეთა, თბილისი, ნავთლუღი, გურჯაანი, სანდარი.

მესამე კლასების ბუფეტების შემდეგ სადგურებზე: ჩაქვა, ჯუმათი, ლანჩხუთი, სამტრედია, №№ 1, 2, 3, ახალსენაკი, ფოთი, მუხიანი, რიონი №№ 1, 2, ქუთაისი, ხრესილი, სვირი, ზესტაფონი, ჭიათურა, ძირულა, მარილისი, მოლითი, წიფა, ხაშური, სუმბათოვო, ბორჯომი, ხორაგოული, ქარელი, კასპი, ქსანი, ავჭალა, თბილისი, ნავთლუღი, საგარეჯო, გურჯაანი, მუკუზანი, ყარაია, სანდარი, შულავერი, სადახლო, ბადიაური, საჯავახო, ციხის ძირი.

საპარიკმახეროები სადგურებზე: ბათუმი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, საჩხერე, ხაშური, ბორჯომი, თბილისი, გურჯაანი, სადახლო.

იმ პირთ, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, თავიანთი განცხადებანი უნდა ჩასდონ პაკეტებში და ჩაბეჭდონ (პაკეტები საგანგებოდ გამოკიდებულია) საბჭოს დარბაზის ყუთის კარებთან. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: ,,ბუფეტების, საპარიკმახეროების და კარავების იჯარის საჯარო ვაჭრობისთვის‘, ხოლო განცხადებებში ნაჩვენები უნდა იყოს რა არის სახელდობრ განზრახული საიჯაროდ და როგორია წლიური იჯარის ფასი საანგარიშო ოქროთი.

**განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული:**

1) კვიტანცია საწინდარის შემოტანის არა ნაკლები 10 პროცენტი მთელი განზრახული შემოსავლისა.

2) განცხადებები დაზღვეული უნდა იყოს სადერბო გადასახადით. რკ. გზ. მმართველობა იჯარის გაღებისას იხელმძღვანელებს არა მარტო შეძლეული ფასით, არამედ სხვა მოსაზრებითაც, რომელიც ეხება რკინის გზ. მეურნეობას.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღიურად დილის 9—11 საათამდე, გარდა დღესასწაულებისა რკინის გზის მმართველობაში (თბილისი, ვაგზლის ქ. № 1. ოთახი № 64.

3) ის პირნი, რომელნიც იჯარით იღებენ ბუფეტებს, კარაკებს, საპარიკმახეროებს და მთლიანად არ შემოაქვთ საიჯარო გადასახადი ამა წლის 1-ლ დეკემბრიდან საჯარო ვაჭრობაზე დაშვებულნი არ იქნებიან.

კომერციული ნაწილის გამგე: თუსრელია

**სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილებამ თავის განცხადებებში ოპერაციების შესახებ, რომელსაც აწარმოებს მისი**

## კონტრსააგენტო

მოათავსა სხვათა შორის გაზეთ ,,პრავდა გრუზიი‘‘-ს №№ 462, 468, 474, 480 და 485-ში ისეთი მუხლები, როგორიცაა 4, 5, 9 და 10, რომელიც აუწყებს მცხოვრებთა ფართე წრეებს შესახებ იმისა, რომ ის აწარმოებს მოლაპარაკებას რკინის გზათა სამმართველოსთან ტვირთის მიღებისა და გადაგზავნის შესახებ

## ამზადებს ყოველგვარ საბუთებს, აწოდებს 24 ს. განმავლობაში ვაგონს

და ჰყავს აგენტები ნავთლუღის საბარგო სადგურზე და ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ სალიკვიდაციო საწყობში.

რკინის გზის სამმართველო აუცილებლად სთვლის განაცხადოს ყველას საყურადღებოდ, რომ ყველა 4, 5, და 9 მუხლში ნახსენებ ოპერაციებს,

**რკინის გზა აწარმოებს დამოუკიდებლად**

**ყოველ-გვარ შუამავალთა გარეშე,**

რაც შეეხება 10 მუხლს, აქ ალბად ადგილი აქვს უბრალო გაურკვევლობას,— არასოდეს და არსად რკინის გზა არ დაუშვებს უცხო პირებს თავის საწყობებში.

### ამ-ბა „ხორც პროდუქტმა“ გასაყიდათ მიიღო დამარილებული მროხის ხორცი საკუთარი წარმოების იყიდება ამ-ბის ყველა დუქნებში.

ამხ. კანტორა: სასახლის, 6 (მესამე სართული) ტელეფ. 9—84.

**გამგეობა.**

### ამხ-მა „ხორც-პროდუქტი“

იუწყება საყოველთაოდ, რომ ამხანაგობა მთავარი კონტორა და გამგეობა

## გადავიდა

**სასახლის ქუჩაზე, 6. ( III სართული) ტელ. 9—34. სმღც უნდა მიმართონ საქმეებისთვის**

**გამგეობა**

## ა. ს. ს. რ.

# საფინანსო კომისარიატი

### ამონაწერი უცხოელი ვალიუტისა და სავალიუტო ღირებულებ. საზღვარგარეთ გაზიდვისათვის მისაცემ ნებართვების წესრიგის ინსტრუქციიდან, თანახმად საკავშირო საბჭოს დადგენილებისა № 50.

1. თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. ფედერაციის საკავშირო საბჭოს დადგენილებისა 1922 წლის 21 ნოემბრიდან № 50 აკრძალულია საკავშირო საბჭოს მიერ განსაკუთრებულად ნებადაურთველად გაზიდვა საზღვარ-გარედ ვალიუტისა და სავალიუტო ღირებულებათა დადგენილ ნორმაზე ზევით, რომელიც ნაჩვენებია 1 სტ. მეორე შენიშვნაში და აღნიშნულ დადგენილების ცალკე დებულებაში.

2. ვალიუტის გასაზიდ ნებართვების მთხოვნელები უდგენენ საკავშირო ფინანსკომის რწმუნებული სათანადო რესპუბლიკისა მათ მიერ ხელმოწერილ გასცხადებას სათანადოთ შევსებულ საანკეტო ფურცლებთან ერთად.

3. ნებართვისა საღებად აუცილებელი პირობაა, კერძო დაწესებულებებთა (კოოპერატივები, შერეული საზოგადოებანი და სხვა) ფირმათა და პირთათვის, რომ მათ გაზიდულ ღირებულებათა სამაგიეროდ შემოიტანონ სათანადო ღირებულების საქონელი მეორე სტატიაში ნაჩვენებ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი.

**შენიშვნა:** ამიერ-კავკასიის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მომქმედ მუშათა კოოპერატივების მთავარ ორგანიზაციებისათვის დასაშვებია ნებართვის მიცემა უცხოელი ვალიუტის საზოგადოთ საზღვარ-გარედ, თუ ისინი ბანკების საგარანტიო წერილის მაგიერ წარმოადგენენ დაწესებულების ვალდებულებას, მეთაურთა მიერ ხელმოწერილს მასში, რომ უკანასკნელი კისრულობს ნებართვის აღების დღიდან ოთხი თვის განმავლობაში შემოიტანოს უცხოეთიდან ამიერ-კავკასიის ფედერაციის საზღვრებში საქონელი, მათ განცხადებაში ნაჩვენები.

4. ვალდებულების შესრულება უნდა უზრუნველყოფილ იქნას ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულების ან მისი განყოფილების დეპოზიტში ნებადართულ გასაზიდ ვალიუტის ღირებულების 20 პროც. წინდაწინ შეტანით. (მეოთხე სტატია).

5. საშუალებანი და რაობა უზრუნველყოფათა თვითეულ შემთხვევებში უნდა (განსაზღვროს) გამოიკვლიოს აღნიშნულ ბანკის ადმინისტრაციამ, გამცხადებელთან ერთად, რომელიც მოვალეა წარმოუდგინოს ფინანსკომის წარმომადგენელს ბანკის საგარანტიო წერილი იმაში, რომ უკანასკნელი ფინანსკომის წინაშე კისრულობს პასუხისგებას ვალიუტის 20 პროც. ფარგლებში, თუ გამცხადებელი არ შეასრულებს თავის დროზე თავის პირობებს, უცხოეთიდან ვალიუტის სათანადო ღირებულების საქონლის შემოზიდვის შესახებ, როგორც ეს მის განცხადებაში არის ნაჩვენები.

6. გამცხადებელის გარანტიის მიცემაში ბანკს უფლება აქვს გადაახდევინოს მას უზრუნველყოფის საერთო ჯამიდან გასაზიდ ვალიუტიდან (20 პრ.) ორ პროცენტამდის თვეში, გარდა ნამდვილი ხარჯებისა შენახვის, დაზღვევისა და სხვა საერთო პირობათა სასაქონლო—სასესხო ოპერაციების მიხედვით.

7. სავალიუტო ღირებულებათა გასაზიდ ნებართვის აღებაში გამცხადებლები იხდიან ნებართვის აღებაში გამცხადებლები იხდიან ნებართვის დამზადება-გაცემაში გაწეულ ფინანსკომის ხარჯების დასაფარავად ერთი პრ. გასაზიდათ ნებადართულ ღირებულებისას; სამთავრობო და სახელმწიფო დაწესებულებანი არ არიან თავისუფალნი აღნიშნული ერთი პრ. გადასახადისაგან.

8. მოწაფეებს, რომელნიც მიემგზავრებიან საზღვარ-გარედ და სურსთ გაიტანონ უცხოელი ვალიუტა ნორმაზე მეტი თანახმად 1 § მეორე შენიშვნისა განათლების კომისარიატის მოწმობის წარდგენით, რომ ისინი წარივლინებიან საზღვარ-გარედ განათლების გასაგრძობათ, მოწაფის ანგარიშში მიეცემათ ნება საზღვარ გარეთ წასვლის დროს გაიტანოს უცხოელი ვალიუტა არა უმეტეს 75 მანეთისა ოქროთი, შემდეგ ეი მოწაფეს შეიძლება მიეცეს ნება რომ მან პერიოდულათ მიიღოს ვალიუტა ყოველთვიური საცხოვრებელი მინიმუმის ანგარიშით 75 მანეთი ოქროთი.

9. ავადმყოფები, რომლებიც მიემგზავრებიან უცხოეთში და სურსთ გაიტანონ ვალიუტა დადგენილ ნორმაზე მეტი, თანახმად 1-ლი §-ს მეორე შენიშვნისა, არდგენენ მოწმობას ჯანსაღობის კომისრისაგან, ხსენებულ პირთა საზღვარ-გარეთ ექიმის აუცილებლობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევებში ნებადართვა უცხოელ ვალიუტისა—საზღვრავს თვითოეულ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის ფინანსკომი.

10. განცხადებები ვალიუტის გასატან ნებართვების მასალებათ ყველა სათანადო დოკუმენტები სასარეწაო მოწმობის რეგისტრაციისა ან აღების შესახებ.

11. ღირებულებათა გასაზიდად მიცემული ნებართვები ძალაშია ორი თვის განმავლობაში. უკანასკნელ ვადად უცხოეთიდან საქონლის შემოტანის ვალდებულებისა ინიშნება 4 თვე ნებართვის გაცემის დღიდან დაწყებული.

12. როდესაც ფინანსკომის რწმუნებულს დანიშნულს ვადაზე წარუდგენენ საბუთებს მასში, რომ თანახმად დადებულ პირობისა უცხოეთიდან შემოტანილია სათანადო საეკვივალენტო საქონელი და ამაში წარმოდგენილი იქნება დოკუმენტები, როგორც საბჭოს მოწმობა, კონისამენტი, ფაქტურა, დაზღვევის მოწმობა და სხვა ფინანსკომის რწმუსებული რთავს ნებას, რომ მასთან შენახული ბანკის საგარანტიო წერილი წარწერით დეპოზიტად შეტანილი ფულები დაუბრკოლებლივ დაუბრუნდეს მის კანონიერ პატრონს.

13. თუ მიცემულ ნებართვაში დადებულ უკანასკნელ ვადის გათავებისას არ იქნება წარმოდგენილი დასაბუთებული რწმუნება უცხოეთიდან დაპირებულ საქონლის მოტანაში, ფინანსკომის რწმუნებული მოითხოვს და აიღებს ბანკიდან, თანახმად ბანკის საგარანტიო წერილისა, 20 პროც. გადატანილ ვალიუტის ღირებულებისა ნატურით ან ადგილობრივი ფულის ნიშნებით დღის კურსით.

14. იმ შემთხვევაში, თუ კანონიერ ვადის განმავლობაში მიმღები დააბრუნებს ვალიუტის გასაზიდ გამოუყენებელ ნებართვას თხოვნით, რომ მას დაუბრუნონ საწინდარი (20 პრ.) თხოვნა შეიძლება შესრულებულ იქნას, მხოლოდ მას გამოერიცხება 1 პრ. გასაზიდათ ნებადართულ ვალიუტის ღირებულებიდან საწინდარის მიღება ddის კურსით.

15. ვალიუტის გასაზიდი ნებართვები არის სახელობითი დოკუმენტები და გამოეწერებიან ვალიუტის გამტანის სახელზე მისი განცხადების ან იმ დაწესებულების ჩვენებით, რომელიც თხოულობს ნებართვას თავის პასუხისმგებლობით, და ნებართვების სხვა პირზე ან დაწესებულებაზე გადაცემა აკრძალულია.

16. დისაშვებია გადაცვლა მოცემული ნებართვისა ახალ ნებართვაზე ვალიუტის შეცვლა ან პირის გამოცვლა—რომელმაც უნდა გაიტანოს ვალიუტა და სხვა). გადაცვლა ხდება იმავე იმავე წესრიგით, როგორც პირვანდელი ნებართვის აღება ფინანსკომის რწმუნებულთან. მხოლოდ ნებართვის გადაცვლისთვის დაინტერესობულთ გადახდებათ გასაზიდი ვალიუტის ღირებულების პრ. გადაცვლის დღის კურსით.

17. თანახმად საკავშირო საბჭოს დადგენილების მე-5 სტ. ტ. ნებართვა ვალიუტის გასატანად ეძლევა მთხოვნელთ იმგვარადვე, როგორც ეკვივალანტი უცხოეთიდან დამოუკიდელად შემოტინილ საქონელში. აუცილებელი პირობაა მხოლოდ, რომ მოტანილი საქონლის ნომენკლატურა აღნიშნული იყოს მე-2 სტატიით აღნიშნულ სიაში.

18. ვალიუტის გასატანი ნებართვების მიღება ხდება ზემოაღნიშნული წესით—ფინანსკომის რწმუნებულის საშალებით. საბუთად, რომ საქონლი უცხოელი ნაწარმოემია— უნდა წარმოდგენილი იქნას კონოსამენტები, რკინის გზის დუბლიკატები, დასაზღვევი მოწმობები, საბაჟოს მ... წმობები, ფაქტურები და სხვა, რომელნიც უქმდებიან. მხოლოდ ფინანსკომის რწმუნებულ... ბეჭედით.

19. ვალიუტის გასატანი ნებართვების მიღებისათვის ამ შემთხვებშიაც დაინტერესებულ... იხდიან ღირებულებიდან 1 პრო.

20. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი საქონლის შემოტანიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიათა ტერიტორიაზე გავიდა ორ თვეზე მეტი—ნებართვა საოანადო ვალიუტის გასატანად ...ვის მიეცა.

---


## ა-ბა „ხორც-პროდუქტი“

### ამით აცნობებს ხორცის პროდუქტების ყველა ბითუმად მყიდველებს

**სახელმწიფოებრივ.** საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ხორცის კერძო მოკავშირეებს, რომ

### მიმდინარე წლის 22 ნოემბრის ორშაბათიდან

### ი ხ ს ნ ე ბ ა

**ხორცის** გახანაწილებელი ცენტრალური პუნქტი—ვერის მოედანი (ქალაქის ყოფილი დუქანი)

**ხორცის** პროდუქტების გაცემა სწარმოებს ყოველ დღიურად დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ხორცის წვრილ-წვრილად გაყიდვა სწარმოებს სხვა და სხვა რაიონში **ამხანაგობის** საბითუმო საწვრილმანო მაღაზიებში.

### ფასები საბაზრო ფასებზე დაბალია

დაწესებულ ფასების დარღვევის ცუდი ხარისხის პროდუქტების გაცემის და სვა შესახებ განცხადეაები მიიღება ამხანაგობის კანტორაში.

მისამართი არსენ ჯორჯიაშვილის ქუჩა (ყოფილი ბარიატინის) № 6 ტელეფ. 7—98

**გამგეობა.**

---

## ალმასკომის ცენტრალურ სამკურნალოსთან

(პუშკინის ქ. № 10)

**ქალაქის** ჯანმრთელობის განყოფილებამ გახსნა კანით და ვენერიულ ავადმყოფობის განყოფილება. ავადმყოფები მიიღებიან ყოველ დღე 9—11 საათამდე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.

**ჯანმრთელობის განყოფილების გამგე—გაწაძე.**

---

## რკინის გზის

## მიმოსვლის შეცვლა

### ═══ კახეთის გზაზე ═══

და

## ორი მატარებლის დამატება

1 დეკემბრიდგან ტფილისიდგან და 2 დეკემბრიდგან თელავიდგან, საფოსტო მატარებლების მიმოსვლა დროებით იცვლება შემდეგათ:

მატარებელი № 3—4 ტფილისიდან გავა ყოველ დღე დილის 7 საათ. და 15 წ., გურჯაანიდან დილის 4 საათ. 52 წ., მივა თელავში საღამოს 7 სათ. 10 წ., ამის მიხედვით მატარებლები №№ 87 და 88, შეთანხმებულნი გურჯაანთან, გავლენ № 88 გურჯაანიდგან. 1 დეკემბრიდან დლის 5 საათ. 20 წ., მივა წნორის-წყალში საღამოს 8 საათ., გამოვა წნორის-წყლიდან 2 დეკემბერს დილის 9 საათ. 35 წ., მივა გურჯაანში დილის 11 სათ. 45 წ., იმავე დროს 1 დეკემბრიდგანვე დანიშნულია ერთი წყვილი საქონლის და ხალხის მატარებლებისა № 21 და № 22, ტფილისიდგან მატარებელი № 21 ივლის კენტ რიცხვებში საღამოს 10 საათ. და 10 წ. მივა გურჯაანში 2 დეკემბერს დილით და ასე წყვილთავა რიცხვებში მატარებელი № 22 იმავე დღეს ე. ი. წყვილ რიცხვებში დილის 9 საათზე, მოვა ტფილისში საღამოს 6 საათ. და 20 წ.

1 1


ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო-საზღვაო კომისარიატის სტამბა